ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**9 სექტემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად**

**ქართული დეტექტივი**

**დანაშაული აღარ მოხდება** ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




პარასკევი, 12 სექტემბერი, 2014 №216 (6527) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი: „გიორგი მარგველაშვილს მთავრობა კონკურენტი ჰგონია“

გვ.3

## ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანა სკანდალისგან იხსნა

— გვ. 2 —

## გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოში დირექტორი არავინ არის“

## სანდრო ბრეგაძე: „გაიგოს მარგველაშვილმა, რომ პირველი პირი პრემიერია“

გვ.2

## სევდია უგრეხელიძე: „ნარმანიამ გამრავლების ტაბულა არ იცის“

გვ.5

თბილისის ბიუჯეტში არ წამოვიდა ჩვენი კუთვნილი 40 მილიონი. ის ჩვენი კუთვნილი თანხა იყო და უნდა გადმოგვირიცხონ. ნარმანიას, რომელსაც თავის გუნდშიც არ გააჩნია ავტორიტეტი, აიძულებენ, აიღოს სესხი.

## თამარ ჩხეიძე: „დასავლეთის ინტერესი საქართველოს მიმართ უცვლელია“

გვ.6

## სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ბილდტისთვის გადარიცხული მილიონები დოკუმენტურად დადასტურდა

გვ.4

ISSN 1987-9385

# სანდრო ბრეგაძე: „გაიგოს მარგველაშვილმა, რომ პირველი პირი პრემიერია“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

***– ბატონო სანდრო, შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ. თქვენც არაერთხელ გითქვამთ, რომ ნაციონალური მოძრაობა არეულობისთვის ემზადება. ამაზე შინაგან საქმეთა მინისტრიც ღიად საუბრობს. როგორია თქვენი შეფასებები? რამდენად სახიფათო ძალაა ნაციონალური მოძრაობა?***

– აბსოლუტურად ვეთანხმები შინაგან საქმეთა მინისტრს მის გამოთქმულ მოსაზრებებში და ინფორმაციებში, რომელიც მან გააჟღერა. სწორად აღნიშნეთ, არაერთხელ განმიცხადებია იმის შესახებ, რომ არსებობს სერიოზული ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა და მისგან კონტროლირებადი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები გეგმავენ პროვოკაციული ქმედებების განხორციელებას, რაც უნდა გადაიზარდოს მართვად ქაოსში, რომელმაც უნდა გამოიწვიოს ქვეყანაში დესტაბილიზაცია და ამ დესტაბილიზაციის ტალღაზე ისეთი ძალების დაბრუნება ხელისუფლებაში, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ 2012 წლის არჩევნებზე წარსულს ჩააბარა. ეს არის აბსოლუტურად რეალური ინფორმაცია, საგანგაშო ინფორმაცია და ძალიან კარგია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ამაზე ღიად საუბრობს და ეს არ არის ის ჩამყაყებული და არადემოკრატიული სტრუქტურა, რომელიც წინა წლებში იყო. შევარდნაძის მმართველობის დროს, სააკაშვილის მმართველობის დროს, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო და შინაგან საქმეთა მინისტრები ყველაზე საშიშ და საშინელ ადამიანებად იყვნენ ცნობილები მთელ საზოგადოებაში. სანამ ამ არეულობაზე ვისაუბრებდეთ, რაც შეეხება თავად შინაგან საქმეთა მინისტრის ფაქტორს, დღევანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ პირველი ადამიანი შინაგან საქმეთა მინისტრია დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში!

***– როგორც გატყობთ, მოხიბლული ხართ ჭიკაიძის საქმიანობით...***

– ჩვენ თუ გვახსოვს წინა მინისტრები, მათ სახელებსა და გვარებს რ ჩამოვთვლი, მაგრამ ყველა მათგანი იყო მინისტრი, რომლებიც ადამიანთა წამებით, მკვლელობით, უკანონო ქმედებებით, კონტრაბანდით, კორუფციით და ათასი საშინელებით იყვნენ დაკავებულები. მათი ოჯახის წევრებს აკლებული ჰყავდათ ქვეყანა. თუნდაც მერაბიშვილის ოჯახი ავიღოთ, რომლის მეუღლემაც მართლაც შეაწუხა მთელი ქვეყანა იმ თავისი ქცევებით და ქმედებებით, რომელმაც სანდრო გირგვლიანის სიკვდილი და კიდევ სხვა ათასი დანაშაული გამოიწვია. ესენი არც ერთი ადამიანები არ ყოფილან. არც ერთი არ იყო ისეთი შინაგან მინისტრი, როგორიც უნდა ჰყავდეს დემოკრატიულ, ცივილიზებულ ქვეყანას. ბატონი ჭიკაიძე გახლავთ პირველი ადამიანი, ადამიანური შინაგან საქმეთა მინისტრი, დემოკრატიული მმართველობის მომხრე ადამიანი და, ამავე დროს, საკმაოდ ნორმალური პიროვნება, ფსიქიკურად გაწონასწორებული ანუ ისეთი, რომელმაც უნდა მართოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ჩვენ თუ მივისწრაფვით ევროპისკენ და ჩვენ თუ მივისწრაფვით ცივილიზაციისკენ, მაშინ უნდა განვსაზღვროთ, რომ ისეთი ტიპის შინაგან საქმეთა მინისტრები გვჭირდება ჩვენ, როგორიც არის ევროპულ ქვეყნებში. ნაციონალებმა დაინახეს, რომ ჭიკაიძე, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი, გარკვეულწილად სიმპათიას იმსახურებს მოსახლეობაში, ამიტომ პირველი იერიში მასზე მიიტანეს, რათა მოახდინონ იმ სტრუქტურის დისკრედიტაცია, რომელი სტრუქტურაც მათ მიაჩნიათ ყველაზე ძლიერად დღეს საქართველოში.

***– ჩვენ ვისმენთ, როგორი დიდია კრიტიკა მისი მისამართით...***

– ეს არ არის კრიტიკა, ეს არის მიზანმიმართული შეტევა. მე პირდაპირ გეტყვით, როგორ ფიქრობთ, თურქეთში სააკაშვილი თავის ბანდის წევრებს რისთვის ხვდებოდა?!

***– ბატონო სანდრო, რაც შეეხება კიდევ ერთ თემას, პრეზიდენტის აწ უკვე ჩაშლილ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. სანამ ბიძინა ივანიშვილმა არ გააკრიტიკა და დაიფიქსირა საკუთარი პოზიცია ამ საკითხზე, მანამ მარგველაშვილი ჯიუტი ბავშვივით გაიძახოდა, მეც მივდივარ გაეროშიო. რამდენად იქონია გავლენა ივანიშვილმა ამ პროცესებზე?***

– მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო სიტუაციის ესკალაციაზე საუბარი. რა თქმა უნდა, არ არის კარგი სანახავი ის, რომ პრეზიდენტი მთავრობას რაღაც საკითხებში არ ეთანხმება, მაგრამ ეს არ არის კატასტროფა და ამით ქვეყანა არ ინგრევა. რა თქმა უნდა, თვითონ მიხვდა თუ არ მიხვდა მარგველაშვილი, მე ვფიქრობ, ძალიან კარგი ნაბიჯი გადაიდგა იმით, რომ მხოლოდ ერთი დელეგაციაა მიდის ამერიკის შეერთებულ შტატებში. რეალურად ვისი დამსახურებაა ეს, რა მოხდა კულუარებში, ამას ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავარია რომ ქვეყანა წარდგება იქ ნორმალურად, სოლიდურად და ვინც არის უფლებამოსილი პირი ანუ პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, ის იქნება წარმოდგენილი გაეროს სესიაზე და ყველა იმ შეხვედრებში, რომელი შეხვედრებშიც ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ყველა უნდა შეთანხმდეს ერთ რამეზე, მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში მოხდა ცვლილებები, პირველი პირი არის პრემიერ-მინისტრი ანუ ირაკლი ღარიბაშვილი, ხოლო პრეზიდენტი არის წარმომადგენლობითი ფუნქციის მატარებელი, ასევე სერიოზული პოლიტიკური ფიგურა ქვეყანაში, მაგრამ ის არ გახლავთ ქვეყნის პირველი პირი. ეს ნათლად წერია კონსტიტუციაში და ჩვენ არაფერი გვევალება, გარდა იმისა, რომ კონსტიტუცია დავიცვათ. აქ არ არის პიროვნულ სიმპათიასა და ანტიპათიაზე საუბარი. მარგველაშვილი გონიერი ადამიანია და მას არ დასჭირდება ამის ახსნა. რაც შეეხება მოარულ ხმებს იმის თაობაზე, რომ მარგველაშვილი ნაციონალებთან არის შეკრული, მე ვთვლი, რომ ეს სრული აბსურდია. მე არა მაქვს ინფორმაცია, რომ მარგველაშვილს რაიმე კავშირები ჰქონდეს ნაციონალებთან. უბრალოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუცია ახალი შეცვლილია, ისინი კარგად არ არიან გარკვეული საკუთარ ფუნქციებში და მხოლოდ პატარა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

***– თუმცა, ბევრი ფიქრობს, რომ სწორედ ივანიშვილის პოზიციამ მოახდინა მასზე ზეგავლენა...***

– არ ვარ მარგველაშვილის გარემოცვის წევრი და არ მაქვს ამაზე ინფორმაცია. თუმცა, რჩეისათვის ვეტყვი, რომ თუკი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის რჩევებსა და მოსაზრებებს გაითვალისწინებს, სამომავლოდ ეს ისევ და ისევ მისთვის იქნება კარგი.

## რიჩარდ ნორლანდი: „საქართველოში ვრძნობთ მუდმივ მხარდაჭერას“

საქართველოში ამერიკის ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, 11 სექტემბრის ტრაგედიის მიმართ ქართველი ხალხის მხრიდან ყოველთვის გრძნობს მხარდაჭერას.

მან სასტუმრო „ციტადინში“ საქართველო-ამერიკის მეგობართა კლუბის ორგანიზებით გამართულ მიღებაზე ქართველ ხალხს მადლობა გადაუხადა „ამ დღეს, 11 სექტემბერს არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ მთელ მსოფლიოში იხსენებენ იმ ადამიანებს, რომლებიც გახდნენ მსხვერპლი საშინელი ტერაქტისა და ტრაგედიის. საქართველოში ვრძნობთ მუდმივ მხარდაჭერას. საქართველო-ამერიკის მეგობართა კლუბი ტრადიციულად აწყობს ღონისძიებას, რომელიც ეძღვნება ამ დღეს. მათ წელს მოაწყვეს ალპინიადა და მყინვარწვერზე აღმართეს დროშა იმ ადამიანების გვარებით, რომლებიც 11 სექტემბერს დაიღუპნენ“, – განაცხადა ნორლანდმა და აღნიშნა, რომ ამ ტრაგედიის შემდეგ ბინ ლადენისა და „თალიბანის“ წინააღმდეგ გლობალური პარტნიორობა დაიწყო და ეს სასარგებლო აღმოჩნდა საქართველოსთვისაც.

მისივე თქმით, შეიქმნა საერთაშორისო კოალიცია „თალიბანისა“ და ბინ ლადენის წინააღმდეგ. კოალიციის საქმიანობის შედეგად ავღანეთის მოსახლეობამ მიიღო თავისუფლება.

სასტუმრო „ციტადინში“ მიღებას მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიების მონაწილეებმა 9/11-ისადმი მიძღვნილი, მყინვარწვერზე ლაშქრობის ამსახველი ფოტოები დაათვალიერეს და სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის დამზადებულ მეტალის კონსტრუქციის ხეზე სიმბოლურად შეაბეს ამერიკის შეერთებული შტატების დროშის ფერი ლენტები.

**მედიანიუსი**

## ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანა სკანდალისგან იხსნა

**ბოლო დღეების ყბადაღებული თემას ნეიტიღი დაესვა – გიოიგი მაიგველაშვიღმა ამეიიკაში ვიზიტი გადადო და ამის ოფიციალეი მიზეზად, მისი ჩაშლა დაასახელა. უფიო ზუსტად კი, მან აღნიშნა ეიომ მოხდა ოიგანიზებული მუშაობა ვიზიტის ჩასაშლელად და ამეიიკული ვოიაჟი ჩაიშალა კიდეკ.**

მარგველაშვილის განცხადებას წინ უსწრებდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა წასულიყო მარგველაშვილი ამერიკაში. სავარაუდოდ, სწორედ მისი სიტყვები და მოსაზრება იქნა გათვალისწინებული. ამ თემაზე სასაუბროდ ექსპერტ ვასილ მაღლაფერიძეს დავუკავშირდით.

***– ბატონო ვასო, ჯერ ის გვითხარით, როგორ აფასებთ მარგველაშვილის სურვილს ამერიკაში ვიზიტისა და გაეროში სიტყვით გამოსვლის შესახებ?***

– უცნაური გაჯიუტება და ახირებაა. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით საუბარი იმდენად უმნიშვნელოა, რომ პრეზიდენტის ჩასვლა არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს. თავად განსაჯეთ, უნდა ისაუბრონ ნახშიროჟანგის დაგროვებასა და კონკრეტული ქვეყნებისთვის თანხის გამოყოფაზე. ბევრი ქვეყანა მონაწილეობასაც კი არ იღებს და ისეთი დიდი ქვეყნებიც კი, როგორებიც ინდოეთი და ჩინეთი არიან. შესაბამისად, ეს იყო თვითდამკვიდრების მცდელობა, იმის ხმამაღლა გაჟღერება, რომ ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტი და მას აქვს უფლება წავიდეს იქ, სადაც მოესურვება, მაგრამ ეს მახინჯი კონსტიტუციის ბრალია.

***– კონსტიტუციურად საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა და...***

– არა, ეგ ქაღალდზე გახდა, თორემ სინამდვილეში ეს იმდენად დამახინჯებულად არის გაკეთებული, რომ გაოცდებით. როცა ქვეყანა საპარლამენტო წყობაზე გადადის, არ უნდა დატოვო მუხლი, რომლის მიხედვითაც ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ჰყავს. ეს არის ნონსენსი და მე თუ მკითხავთ, შეგნებულად გაკეთებული. იმ კონსტიტუციონალისტების სინდისზე იყოს ეს სიმახინჯე, ვინც ამაში მონაწილეობა მიიღო. სწორედ ეს არის მოსადავებელი. კაცი ამბობს, არჩეული ვარო და მართალია, მაგრამ ამ რჩეულს უფლებები არ აქვს და ეს არის ფაქტი.

***– როგორ ფიქრობთ, ამ გადაწყვეტილების უკან ვინმე დგას თუ ეს უშუალოდ პრეზიდენტის სურვილი იყო?***

– დარწმუნებული ვარ, რომ მას აქეზებენ და ეუბნებოდნენ, რომ უნდა მოიქცეს ისე, როგორც უნდა იქცევა. ეს არ არის მართებული და გიორგი ამას უნდა მიხვდეს. იმ ადამიანებს კონკრეტული მიზნები ამოძრავებთ და აწყობთ დაპირისპირება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, რაც მიიღეს კიდეკ.

***– ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ მარგველაშვილმა გადაიფიქრა წასვლა. როგორ ფიქრობთ, ეს კარგია თუ ცუდი?***

– კარგია იმდენად, რამდენადაც ქვეყანა საირცხვილოს გადარჩა და ის, რომ ეს იქნებოდა სირცხვილი, ყველა თანხმდება. ივანიშვილმა გააკეთა რეალისტური შეფასება იმისა, რაც ხდება და რაც შეიძლება მოხდეს და საბედნიეროდ, ამ განცხადების შემდეგ მოხდა გადაწყვეტილების შეცვლა. შეიძლებნა ითქვას, რომ საერთაშორისო სკანდალს გადავრჩით.

***– სხვათა შორის, ივანიშვილმა პრემიების თემაც ახსენა...***

– მათ, ვინც პრემიები დაიწერეს, უნდა რცხვენოდეთ და უნდა რცხვენოდეთ იმისა, რომ წინა ხელისუფლებას სწორედ ამ თემაზე ამუნათებდნენ. არ შეიძლება, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ასეთი რამის გაკეთება. ეს კარგად ესმის ივანიშვილს და არა მგონია, რომ სხვებს არ ესმოდეთ, თუმცა აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ. აუცილებლად უნდა მოხდეს ამის რეგულაცია ისე, რომ ხალხის გაღიზიანება არ გამოიწვიოს. ის, რაც ამ თემის გამხაურებას მოჰყვა, ხალხის აგრესია ერქვა, ეს კი არავის არ დაუმთავრდება კარგად.

აზალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „გიორგი მარგველაშვილს მთავრობა კონკურენტი ჰგონია“

შორენა მარსაგიშვილი

თითქმის ორთვიანი ბრძოლის შემდეგ გიორგი მარგველაშვილს გაეროში წასვლა გადააფიქრებინეს. ჯერ კიდევ 2 დღის წინ მარგველაშვილი აცხადებდა, რომ ამერიკაში აუცილებლად წავიდოდა, გუშინ კი გვაუწყა, ვიზიტი ჩაშლილიაო. მის ამ განცხადებას ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ უძღოდა წინ, სადაც მან პრეზიდენტი, ფაქტობრივად, დაასამარა. არადა, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მარგველაშვილზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, მთელ ერს უმტკიცებდა, ასეთი კარგი პრეზიდენტი საქართველოს არ ეყოლებაო. ახლა კი სხვანაირად საუბრობს და მიიჩნევს, რომ ის ქვეყნის მთავრობას მუშაობაში ხელს უშლის. გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ექსპრემიერი აცხადებს, რომ მარგველაშვილის ქმედებები, საბოლოო ჯამში, ქვეყანას აზიანებს.

მისი აზრით, საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა და აქ აღარ უნდა დაისვას კითხვა, თუ ვინ წავა გაეროში. ნაპრემიერალის განცხადებით, ისეთი ღარიბი ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, გაეროში ორი დელეგაციის წასვლა არ შეიძლება.

– ვნახეთ სია, ვინ ჩავა და გაეროს სხდომას ვინ დაესწრება საპარლამენტო რესპუბლიკებიდან. როგორც წესი, იქ პრემიერები იქნებიან წარმოდგენილი. კითხვა არ არსებობს. ისევ მიდის თანაბარი შედარება და ფონი, უფრო მეტად ისეთია, თითქოს აშავებს პრემიერი და ჩაგრავს პრეზიდენტს, ამ დროს კი ორჯერ ორი ოთხია – რა თქმა უნდა, იქ წავა მერკელი, რა თქმა უნდა, იქ წავა ნეთანიაჰუ, რა თქმა უნდა, იქ წავა ინგლისის პრემიერი და ა.შ. შეიძლება, მხოლოდ ერთი-ორი გამონაკლისი იყოს, როცა პრემიერმა ვერ მოიცალა და გადასცა ეს უფლება პრეზიდენტს. ასეთია კონსტიტუცია საპარლამენტო რესპუბლიკაში. ის შეხვედრა, საიდანაც ამან მოწვევა მიიღო, დაბალი დონის შეხვედრაა. სხვათა შორის, კლიმატის გაუმჯობესების სამიტზე შარშან ფანჯიკიძე იყო მიწვეული, თუმცა მასაც წასვლა არ სდომებია – ზალკალიანი უნდა წასულიყო, თუმცა, საბოლოოდ, წავიდა ფანჯიკიძე იმიტომ, რომ სხვა საქმეებიც ჰქონდა, მაგრამ არავის უფიქრია, რომ ჩემთვის ეთქვა ან პრეზიდენტი წასულიყო. ეს არის რეალობა. ამის მიუხედავად, ეს კაცი (პრეზიდენტი) კონკურენციას აგრძელებს, მაშინ როცა ერთი ღარიბი ქვეყნიდან აშშ-ში წასვლა ლამაზი არ იქნება, – განაცხადა ივანიშვილმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ივანიშვილი მარგველაშვილს აკრიტიკებს. პრეზიდენტთან უთანხმოებაზე ექსპრემიერი პირველად მარტში ალაპარაკდა. გუშინ გამოქვეყნებული ინტერვიუდან კი ნათელი გახდა, რომ მათ შორის დაპირისპირება გასული წლის ნოემბერში დაიწყო. ივანიშვილი ამბობს, რომ მისთვის მარგველაშვილის ქმედებები გაუგებარია.

– ინაუგურაციის მეორე თუ მესამე დღესვე, როცა სიტუაციის დალაგება დავიწყეთ და გაუგებრობაში აღმოვჩნდით, ჩვენი პოლემიკის ერთ-ერთი საგანი გახლდათ პრეზიდენტ მარგველაშვილის პოზიცია, რომ ის კონკურენციაში უნდა იყოს მთავრობასთან და პარლამენტთან. ჩვენ ამაზე ძალიან ბევრი დრო დავხარჯეთ და ეს ჩემთვის იყო გაუგებარი. მე მას ვეუბნებოდი, რომ ეს პოზიცია არ არის სწორი, თქვენ უნდა მოხვიდეთ ერთ გუნდად, „ქართული ოცნების“ გუნდი გეხმარებოდა მთელი არჩევნების განმავლობაში, მხარს გიჭერდა, ჯერ არაკორექტულია და მეორეც, კონკურენცია დაგაზარალებთ. თქვენ კონკურენტი გყავთ უმუშევრობის, უამრავი, მათ შორის ტერიტორიული პრობლემის, საგარეო პოლიტიკის და ა.შ. სახით, რომ ეს არის თქვენი კონკურენტი. ხელი-ხელს ჩაკიდეთ, ერთად უნდა იმუშაოთ და არ უნდა იყოს კონკურენცია. საბოლოოდ, მე ჩემს აზრზე დავრჩი, მას კი თავისი აზრი არ შეუცვლია. მის ყველა ქმედებაში განა მარტივი დასანახი არ არის, რომ (ეს სიტყვა არ მინდა ვიხმარო, მაგრამ) კონკურენტს ებრძვის, კონკურენტთან აქვს საქმე და უნდა ხელი შეუშალოს. ამით, საბოლოო ჯამში, ქვეყანას ეშლება ხელი და ამას უნდა მიხვდეს პრეზიდენტი მარგველაშვილი. რა შუაშია მთავრობა იმაში, რომ ის პრეზიდენტის სასახლეში შევიდა და გუნდის არც ერთ წევრს არ ჰკითხა მაშინ, როცა იცოდა მათი უარყოფითი განწყობა, თვითონაც უარყოფითი განწყობა ჰქონდა. ვეტოს დადება ძლივს გადაიფიქრა კანონპროექტზე, რომელიც წაკითხული არ ჰქონდა და პროკურატურას „გრიფი“ მთელი თვე არ მოუხსნა, სანამ არ გასაჯაროვდა. რა შუაშია აქ მთავრობა? ის, რომ ერთი თვე არ ხსნი გრიფით „საიდუმლოს“ ელემენტარულ საბუთს და, ამავდროულად, აცხადებ, რომ კონკურენციაში გინდა იყო ხელისუფლებასთან, ეს საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, აზარალებს ქვეყანას, – აღნიშნავს ივანიშვილი.

მთავრობის ყოფილი მეთაურის ამ განცხადებებს, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პრეზიდენტის სასახლიდანაც გაკეთდა კომენტარები. მარგველაშვილის პრესსამსახურმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ მარგველაშვილი ივანიშვილის განცხადებების გამო თავს დაჩაგრულად არ გრძნობს.

## ჩაშლილი ვიზიტი

ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში კი პრეზიდენტის სასახლეში მარგველაშვილის ბრიფინგი გაიმართა. ავლაბრის რეზიდენციაში პრეზიდენტმა გააკეთა ის განცხადება, რომელსაც მთელი მთავრობა ამდენი ხნის მანძილზე ელოდა.

– ეს იყო ორგანიზებულად მუშაობა პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის ჩასაშლელად. ეს დაპირისპირება რაც იყო, სამწუხაროდ, გადავიდა მართლა პრობლემურ დაპირისპირებაში. გუშინ მე მქონდა შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრთან და გამიჩნდა, განცდა, რომ ჩვენ მივდივართ სიტუაციის დალაგებისკენ თუმცა, სამწუხაროდ, მოხდა სერიოზული ორგანიზებული მუშაობა საქართველოს პრეზიდენტის გაერო-ში ვიზიტის საწინააღმდეგოდ. მუშაობის შედეგად ვიზიტი ჩაიშალა. ეს არის რეალურად არასწორი ნაბიჯი, რომელიც პრეზიდენტი ინსტიტუტის საპირისპიროდ გადაიდგა. – განაცხადა პრეზიდენტმა.

ის კატეგორიულად არ ეთანხმება ექსპრემიერის ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, რომ ის მთავრობის მუშაობას ხელს უშლის. მისი თქმით, ვერავინ მოიყვანს თუნდაც ერთ მაგალითსაც კი, რომ ის ხელისუფლებას საქმიანობაში ხელს უშლის. მარგველაშვილი იმასაც განმარტავს, რომ როდესაც ხელისუფლების რომელიმე შტო დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებს, ეს ხშირად დაპირისპირებად აღიქმება.

– ვერავინ მომიყვანს ერთ მაგალითსაც კი, როდესაც მე შევუშალე ხელი ხელისუფლებას, იქნება ეს აღმასრულებელი ხელისუფლება თუ პარლამენტი. ვერავინ მსგავს ვერც ერთ მაგალითს ვერ მოიტანს. ჩვენ ვდგავართ დემოკრატიის მშენებლობის გზაზე, რომელიც რეალურად რთული გზაა და თუ ამ გზაზე, რომელიმე ინსტიტუტი, თავისი მანდატის ფარგლებში დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებს, ეს ხშირად არის ხოლმე აღქმული, როგორც დაპირისპირება. ეს არ არის დაპირისპირება და ეს დემოკრატიული პროცესია. რთულია, მესმის, მაგრამ ჩვენ მივალთ ამ წერტილამდე. მე ვემსახურები ქვეყანას იმისთვის, რომ გაძლიერდეს დემოკრატიული წყობა, ვემსახურები კონსტიტუციის ფარგლებში და ასე გავაგრძელებ. ის რეჟიმი, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი უცებ გახდეს ისეთი, რომ ვერ საუბრობდეს და გაჩუმდეს, ეს ქართული დემოკრატიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ნორმალურია, მაშინ მას არ ესმის, რას ნიშნავს დემოკრატია, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა.

აშშ-ში საქართველოს პრეზიდენტის ჩაშლილ ვიზიტსა და ივანიშვილის ინტერვიუს კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუაც გამოეხმაურა. მისი აზრით, მარგველაშვილის ვიზიტი ივანიშვილის ინტერვიუს გამო ჩაიშალა. რურუას განცხადებით, ეს არის სამთავრობო საბოტაჟი.

– ძალიან ცუდია, რომ ჩაიშალა, თავისთავად, იმიტომ, რომ საქართველოს წარმომადგენელი საგარეო საქმეებში უნდა იყოს პრეზიდენტი. ეს კონსტიტუციაში წერია შავით თეთრზე. ძალიან სამწუხაროა, რომ ადამიანი, ვინც საერთოდ არ არის არც ერთ თანამდებობაზე, განაგებს დღეს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკას და ხელს უშლის ამ შემთხვევაში მის მიერ მოძულებული საქართველოს პრეზიდენტის, მისივე კანდიდატურის მუშაობას. ეს სხვა არაფერი არ არის, თუ არა შიდასამთავრობო საბოტაჟი. როგორც მარგველაშვილმა თქვა, მას გაუუქმეს შეხვედრები და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. აბა, როგორ დაემთხვა ეს ყველაფერი, მისი ინტერვიუ, შეხვედრების ჩაშლა, რაზეც მარგველაშვილმა განაცხადა, მე მგონია, ეს ძალიან ჰგავს ამას, – განაცხადა ნიკა რურუამ „პირველ რადიოსთან“ საუბარში.

ნაციონალებისგან განსხვავებით, ივანიშვილის ინტერვიუში ტრაგიკულს ვერაფერს ხედავენ მეოცნებეები. დეპუტატ ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით,

პრეზიდენტის კრიტიკის უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს ამ ქვეყანაში და ბიძინა ივანიშვილს – მით უმეტეს.

დეპუტატის აზრით, ის პოზიცია, რაც ბიძინა ივანიშვილს გააჩნია გაერო-ში ვიზიტთან დაკავშირებით, მართებულია და აღნიშნული მმართველი უმრავლესობის მხრიდან არაერთხელ დაფიქსირებულა.

– ის პოზიცია, რაც ბიძინა ივანიშვილმა დააფიქსირა, უმრავლესობის მხრიდან არაერთხელ დაფიქსირდა და ჩვენი დამოკიდებულება ამ ვიზიტთან დაკავშირებით ცალსახა იყო, რომ უხერხულობას შექმნიდა აუცილებლად და ეს არასწორია, რა თქმა უნდა. მთავარი აქ, რომ პოზიცია იყო დაფიქსირებული ის, რასაც უმრავლესობა ფიქრობს და ამ შემთხვევაში მეც გუნდის წევრივით ასე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო ორი დელეგაციის გამგზავრება გაეროში და ეს არაერთხელ ითქვა. რაც შეეხება პრეზიდენტის კრიტიკის უფლებას, ეს აქვს ყველა ნებისმიერ მოქალაქეს ამ ქვეყანაში და ბიძინა ივანიშვილს – მით უმეტეს, რომელიც იყო მისი მთავარი ერთ-ერთი ინიციატორი გუნდთან ერთად, რომ მარგველაშვილი გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი, ის იყო ნომინირებული ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მიერ, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ „პირველ რადიოსთან“ საუბრისას.

დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი თავს იკავებს, ყოფილი პრემიერ-ministრის მიერ გაჟღერებული განცხადებები შეაფასოს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მისამართით გააკეთა და აცხადებს, რომ ის, რაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, მისი აზრია და ამის შეფასება მართებულად არ მიაჩნია.

– თქვა ბიძინა ივანიშვილმა და ეს მისი აზრია, მისი საქმეა, მაგას რა კომენტარი უნდა გაუკეთო. კაცმა გააკრიტიკა პრეზიდენტი. მე როგორ ვთქვა ახლა, თქვენ რომ გააკრიტიკოთ, თქვენ თქვენი უფლება გაქვთ, მე ჩემი, ყველას აქვს უფლება, ამიტომ ყველა მართალია, ვინც რას ამბობს, ახლა აქ ტყუილად ვეძებთ, რომ პარლამენტის წევრები მისცემენ შეფასებას, ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი. ეს სერიოზული კითხვა არ არის და მეკითხებით, აქვს თუ არა უფლება ბიძინა ივანიშვილს, ჰქონდეს თავისი აზრი, – აცხადებს ბერძენიშვილი.

„პირველი რადიოს“ კითხვაზე, იზიარებს თუ არა ის ყოფილი პრემიერის პოზიციას, დეპუტატი აცხადებს, რომ „საერთოდ ასეთ შემთხვევაში ეს კითხვა უაზროა, იმიტომ რომ, თქვენ მეკითხებით, ვის უყვარს ტყემალი და ვის – არა და ვიზიარებ თუ არა. რა თქმა უნდა, თუ ასე მიაჩნია, ჩემი გასარჩევი არ არის, ეს არ არის ის საკითხი, რომელზეც მე უნდა ვიმსჯელო ჩემი აზრით“, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაეროში მარგველაშვილის ვიზიტი აშშ-ში საქართველოს ყოფილმა ელჩმა თემურ იაკობაშვილმა მოამზადა. ეს ინფორმაცია გუშინ თითქმის დაადასტურა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

– მე როგორც მეუბნებიან, ეს მართლაც ასეა, – აღნიშნა წულუკიანმა.

ამ აურზაურს აზერბაიჯანში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილიც გამოეხმაურა. პრემიერის თქმით, მისთვის მიუღებელია სპეკულაცია, რომელიც გაეროში საქართველოს დელეგაციის გამგზავრებასთან დაკავშირებით გაჩნდა.

– მე ილჰამ ალიევს ვკითხე, მიემგზავრებოდა თუ არა იგი გაეროში, მან კი მიპასუხა, რომ ამის საჭიროებას ვერ ხედავს და მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრს აგზავნის. გაეროში გამგზავრება და ქვეყნის წარმოჩენა ამხელა სპეკულაციის საგანი გახდა. მე ვკითხე პრეზიდენტ ალიევს, მიემგზავრებოდა თუ არა იგი გაეროში. მან მითხრა, რომ ამის საჭიროებას ვერ ხედავს და მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრს აგზავნის. ჩემი გაეროში წასვლის აუცილებლობა გაჩნდა იმიტომ, რომ თვეების განმავლობაში მქონდა სამზადისი გაეროში ვიზიტთან დაკავშირებით, მქონდა მოლაპარაკებები და გაეროში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი ვარ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ასევე განაცხადა, რომ მან სხვადასხვა პიროვნებებისგან დამაბნეველი განცხადებები მოისმინა, თითქოს გაეროს ასამბლეა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურების შეკრების ადგილია, რაც აბსოლუტური ტყუილია.

– მოსაწვევში წერია, რომ ეს არის ან სახელმწიფოს, ან მთავრობის მეთაურების შეკრების ადგილი, იმის მიხედვით, როგორ არის მოწყობილი ესა თუ ის სახელმწიფო“, – განაცხადა ღარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ დღეს ის მხოლოდ იმ საქმეებზე, გაჭირვებასა და პრობლემებზე ფიქრობს, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა.

– ჩვენი მოსახლეობა დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია, ვინაიდან ჩვენი მთავარი გამოწვევა დღეს სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური განვითარებაა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ბიძინა ივანიშვილი მთავრობას მაღალ პრემიებს უწუნებს

შორენა მარსაგიშვილი

საოცნებო მთავრობის მიერ აღებულმა მაღალმა პრემიებმა საზოგადოება შოკში ჩააგდო. პრემიების თემა ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან მოქმედი მთავრობის ყველაზე დიდ გადაცდომად „ძალიან მაღალი პრემიების გამოწერა“ დაასახელა. ნაპრემიერალი განმარტავს, რომ ის, რაც ამ კუთხით სასჯელაღსრულების სამინისტროში მოხდა, მისთვის „ძალიან სტრესული“ იყო.

– ჩემს წინა გამოსვლებში მე ყოველთვის აღვნიშნავდი იმ გადაცდომებს, რაც მთავრობაში იყო და მათზე ვაკეთებდი რეაქციას. იქვე აღვნიშნავდი, რომ საზოგადოება უკვე კარგად ერკვევა და სრულფასოვანი კონტროლი მიდის, თუმცა კონტროლის ხარისხის დახვეწაა საჭირო და ამას საზოგადოება ახერხებს ძალიან კარგად. ყველაზე დიდ გადაცდომად მე ვთვლი ძალიან მაღალი პრემიების გამოწერას და ის, რაც მოხდა სასჯელაღსრულების სამინისტროში, ჩემ-

თვის იყო ძალიან სტრესული და არ მომეწონა. ყველაზე სერიოზულ გადაცდომად მე ამას ვთვლი და საზოგადოებაშიც, მე მგონი, ეს თემა დარჩა, – აცხადებს ივანიშვილი.

რაც შეეხება ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას, ყოფილი პრემიერის შეფასებით, „მთავრობა ეფექტურია და განსაკუთრებით ეფექტურია პრემიერ-მინისტრი“.

– ერთია გადაცდომები, მაგრამ მეორეა, რამდენად ხარისხიანად მუშაობს მთავრობა. ჩემი აზრით, ოპტიმალურია შერჩევა და, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა 10-15%-ით მეტის გაკეთება ან უარესიც, მაგრამ შედარებებს, რასაც აკეთებენ ოპოზიციონერები, მე არ ვეთანხმები. ოდნავ უკეთაც შეიძლებოდა და შეიძლებოდა, ვთქვათ, რომ გაცილებით უარესადაც. ოდნავ უკეთ შეიძლებოდა ემუშავა მთავრობას, რამეთუ ის წარმოდგენა არ შეგექმნათ, თითქოს მე მას იდეალურად ვახასიათებდე. რა თქმა უნდა, გარკვეულ სამინისტროებზე შეიძლება კონკრეტიკაზე გადავიდეთ და კონკრეტული შენიშვნები, მინიშნებები გავაკეთოთ, მაგრამ მე არ მივიჩნევდი ამას საჭიროდ. ზოგადად ვთვლი, რომ მთავრობა ეფექტურია და განსაკუთრებით ეფექტურია პრემიერ-მინისტრი, – აღნიშნავს ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

პრემიების თემას მოქმედი პრემიერიც გამოეხმაურა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მაღალი პრემიები მისთვისაც მტკივნეულია.

– ეს იყო ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ჩვენი მთავრობისა და, მეორე მხრივ, სასიხარულოა, რომ რამე სხვა შეცდომა ამ ორი წლის განმავლობაში არ გვაქვს. ეს პრობლემა წლების განმავლობაში არსებობდა და ინერციით გაგრძელდა. ვაღიარებ ამ შეცდომას და ამაზე არაერთხელ მითქვამს კიდეც საჯაროდ. ჩვენ ეს გამოვასწორეთ, მოვაწესრიგეთ, პრემიების გაცემის სისტემა ჩამოვაყალიბეთ და დიდი იმედი მაქვს, რომ მსგავსი სიტუაცია აღარ გამეორდება, – განმარტა პრემიერმა.

# სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ბილდტისთვის გადარიცხული მილიონები დოკუმენტურად დადასტურდა

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, კარლ ბილდტისა და წინა ხელისუფლების ურთიერთობაზე არაერთხელ დაწერილა, მაგრამ ახლა სხვა შემთხვევაა – უკვე დოკუმენტებით დასტურდება, რომ ბილდტი პიარ-კომპანია კრეაბის საშუალებით რეჟიმს უბრალოდ ათეთრებდა და ათეთრებდა მაშინ, როცა ნაციონალურ მოძრაობას ყველაზე მეტად უჭირდა. დოკუმენტების მიხედვით, ყველაზე მეტი თანხა კომპანიის ანგარიშზე გადარიცხულია მაშინ, როდესაც ნაციონალურ მოძრაობას დახმარება სჭირდებოდა არა საგარეო პოლიტიკის მხრივ, არამედ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო – ეს მოხდა 2007 წლის ნოემბერში და 2008 წლის იანვარ-თებერვალში; 2007 წლის ნოემბრის მოვლენების შეხსენება არავის სჭირდება. რაც შეეხება 2008 წელს, კითხვები გაჩნდა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების გაყალბების შესახებ. ბილდტმა არ დაახანა და სანამ ოფიციალური შედეგები დაიდებოდა, თავის ბლოგზე დაწერა: „არჩევნების შედეგების სინამდვილე კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას და ჩვენ უნდა მივულოცოთ საქართველოს, ქვეყანამ აჩვენა დემოკრატიული არჩევნები და ეკონომიკური რეფორმები.“

და ეს მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები ღიად სვამდნენ კითხვებს არჩევნების ლეგიტიმურობის შესახებ და შვედეთის მაშნდელმა ელჩმა საქართველოში ჰანს გუნარ ადენმა თავის ქვეყანაში გაგზავნილ წერილში ღიად აღნიშნა, რომ არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ეჭვები არსებობდა. ამის შემდეგ ადენი თანამდებობიდან მოხსნეს, საქართველოდან სასწრაფო წესით გაიწვიეს და ეს მაშინ, როცა მას კიდევ წელიწადნახევარი ჰქონდა საქართველოში სამსახურის უფლებამოსილება.

„ხანდახან კვლავ გაისმის კრიტიკა სააკაშვილის რეჟიმის მიმართ და გარკვეული ლობისტების მიმართ, რომელსაც სააკაშვილი დიდ ფულს უხდიდა. მათ შორის ასახელებენ ხოლმე ხშირად ბილდტს და კრეაბ-ს. საქართველოში ზოგადად ცნობილია, რომ ბილდტი სააკაშვილის ძალზე ახლო მოკავშირე იყო, ხოლო კრეაბი კი სააკაშვილისთვის მუშაობდა. ეს საიდუმლო არ არის, თუმცა თანხებზე არასდროს ყოფილა საუბარი, არც იმაზე, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს პროცესი“, – განაცხადა გაზეთ აფტონბლადეტთან საუბრისას ჰანს გუნარ ადენმა.

იგივე გაზეთთან ინტერვიუში, ადენი ადასტურებს, რომ თბილისიდან გაგზავნილი წერილის შემდეგ ის სასწრაფოდ გაიწვიეს და მიზეზად მხოლოდ ის დაასახელეს, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ანუ კარლ ბილდტი უკმაყოფილო იყო ადენის მუშაობით და თურმე ადენის ანგარიში არ ემთხვეოდე იმ განცხადებას, რომელიც ბილდტმა საკუთარ ბლოგზე განათავსა.

იმავე გაზეთთან საუბრისას იგივეს იმეორებს გოგა ხაინდრავა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მინისტრად მუშაობდა და ადასტურებს, რომ პიარ-კომპანია კრეაბის ანგარიშზე არარეალურად დიდი თანხები ირიცხებოდა. საუბარი 20 მილიონ კრონზეა, რომელიც არათუ შვედური კომპანიისთვის არის მსუყე ლუკმა, არამედ ნებისმიერი ამერიკული პიარ-კომპანია არ იტყოდა უარს არათუ კონსულტაციაზე, არამედ ხანგრძლივ მომსახურებაზე.

საინტერესოა, რომ თავად ბილდტი კატეგორიულად უარყოფს სააკაშვილთან და კრეაბთან ურთიერთობას და ეს იმის მიუხედავად, რომ ამ კომპანიის შეფი წლების განმავლობაში თავად იყო, პოლიტიკაში წასვლის შემდეგ კი თანამდებოგა დატოვა, თუმცა...

– ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით ვმუშაობთ. რასაკვირველია, ბილდტი ჩართული იყო ამ სამუშაოში იმ ფუნქციებით, რაც მაშინ გააჩნდა. იგი სახელიანი ადამიანია. იგი ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე იყო, თუმცა დაგვტოვა, როდესაც მთავრობაში შევიდა. ამის მიუხედავად, ძველ ნაცნობობას აქტიურად იყენებდა,-ეს განცხადება კრეაბის ბრიუსელის ბიუროს ელმძღვანელს, გეორგ დანელს ეკუთვნის.

რეალურად, წინა ხელისუფლება მთლიანად პიარზე იყო აგებული და როცა მოსახლეობამ თვალი გაახილა, ნაციონალურმა მოძრაობამ გადაწყვიტა კეთილშობილად და პროგრესულად საერთაშორისო კუთხით წარმოჩენილიყო, ჩასაძირად გამზადებული ქართული საზოგადოება კი უბრალოდ აღარ აინტერესებდა. კრეაბისთვის გადახდილი 20 მილიონი რეალურად იმაზე მეტია, ვიდრე ამერიკული კომპანიებისთვის ხუთი წლის განმავლობაში გადახდილი თანხა. და ამ ყველაფერს ემატებოდა ისიც, რომ ბილდტი საერთაშორისო დონეზე კბილებით იცავდა ნაციონალურ მოძრაობას და ზუსტად იმ ტექსტით საუბრობდა, რომლითაც თავად ნაციონალური მოძრაობის ლიდერები.

დოკუმენტალურად დადასტურებული გადარიცხვების შემდეგ, ბილდტს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ სავარაუდოდ, შეეცდება კვლავ აირიდოს ეს თემა და განაცხადოს, რომ კრეაბთან შეხება არ ჰქონია. სხვათა შორის, გოგა ხაინდრავას განცხადებაზე ბილდტი ამბობს, რომ ეს პიროვნება პოლიტიკურად ძალზედ აგრესიული და რადიკალური გახლდათ და მისი მხრიდან ანალოგიური განცხადება არ უკვირს. საინტერესოა, სხვა ევროპელ ლიდერებზეწ რატომ არ ამბობს ხაინდრავა იგივეს და საინტერესოა ისიც, რატომ არ ეთანხმება ბილდტს შეფასებებში მის მიერვე დანიშნული ელჩი ჰანს გუნარ ადენი.

დოკუმენტში მითითებული თანხები ჰაერიდან მოტანილი არ არის. ეს არის მცირე ნაწილი იმისა, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ უშუალოდ საქართველოს და ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების გასაბრუებლად დახარჯა და ამბობენ, რომ თუ დოკუმენტებს საიდუმლო გრიფი მოეხსნება, დანახარჯი ნახევარ მილიარდ დოლარს ასცდება.

ხელშეკრულება "KREAB AB"

მიმღები ფ/პ GEORG DANELL

| თარიღი | თანხა | ვალუტა | ექვივალეტი ლარში | დღგ | საშემოსავლო | სულ ჯამი ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 26.12.06 | 167,000.00 | EUR | 376,084.00 | | 71,618.00 | **447,702.00** |
| 30.01.07 | 100,000.00 | EUR | 221,910.00 | 39,943.80 | 22,191.00 | **284,044.80** |
| 20.02.07 | 100,000.00 | EUR | 224,710.00 | 40,447.80 | 22,471.00 | **287,628.80** |
| 27.03.07 | 100,000.00 | EUR | 225,790.00 | 40,642.20 | 22,579.00 | **289,011.20** |
| 26.04.07 | 100,000.00 | EUR | 230,670.00 | 41,520.60 | 23,067.00 | **295,257.60** |
| 22.05.07 | 100,000.00 | EUR | 227,220.00 | 40,899.60 | 22,722.00 | **290,841.60** |
| 02.07.07 | 100,000.00 | EUR | 224,550.00 | 40,419.00 | 22,455.00 | **287,424.00** |
| 26.07.07 | 100,000.00 | EUR | 229,600.00 | 41,328.00 | 22,960.00 | **293,888.00** |
| 30.08.07 | 100,000.00 | EUR | 226,100.00 | 40,698.00 | 22,610.00 | **289,408.00** |
| 01.10.07 | 100,000.00 | EUR | 234,870.00 | 42,276.60 | 23,487.00 | **300,633.60** |
| 25.10.07 | 100,000.00 | EUR | 231,840.00 | 41,731.00 | 23,184.00 | **296,755.00** |
| 29.11.07 | 100,000.00 | EUR | 238,880.00 | 42,476.80 | 23,888.00 | **305,244.80** |
| 06.12.07 | 100,000.00 | EUR | 237,400.00 | 40,860.00 | 23,740.00 | **302,000.00** |
| 10.12.07 | 200,000.00 | EUR | 469,880.00 | 86,972.00 | 46,988.00 | **603,840.00** |
| **ჯამი** | **1,567,000.00** | **EUR** | **3,599,504.00** | **580,215.40** | **322,342.00** | **4,502,061.40** |

# ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით პოლიციამ 10 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ფოთში, წალენჯიხაში, ზუგდიდში, სენაკში, თბილისსა და გორში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 10 პირი: 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულის ბრალდებით მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი კ., 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულის და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის ნასამართლევი გელა ქ., 1985 წელს დაბადებული ლაშა ჩ., 1971 წელს დაბადებული გელა გ., 1986 წელს დაბადებული, წარსულში დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობისთვის, ქურდობისთვის, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის ნასამართლევი დავით ქ., 1986 წელს დაბადებული ვიტალი ბ., 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულის და ქურდობისთვის ნასამართლევი გიორგი რ., 1972 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობის, ქურდობის და ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი გელა ქ., 1995 წელს დაბადებული ავაზი უ. და 1979 წელს დაბადებული, წარსულში იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვისთვის და ნარკოდანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი თენგიზ კ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ქურდულ სამყაროს აღიარებენ, სხვადასხვა სარგებლის მიღების მიზნით, ქურდული კანონების შესაბამისად, სპეციალური წესების დაცვით მოქმედებდნენ და მიზანმიმართულად ცდილობდნენ ქურდული სამყაროს ინტერესების საზოგადოებაში დანერგვასა და განმტკიცებას.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი პირებისგან კონკრეტულ დავალებებს იღებდნენ და ასრულებდნენ.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები, ხელყუმბარა და ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციითვე, საქმეზე გამოძიება გრძელდება და სხვა დამნაშავე პირების დადგენა-დაკავების მიზნით ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

## ნინო ბურჯანაძე: „ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ასეთი კრიზისის განსამუხტავად ვადამდელი არჩევნები დაინიშნებოდა“

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, დღეს პროცესები ზუსტად ისე მიმდინარეობს, როგორც ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე პროგნოზირებდა, როდესაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დათანხმდა იმას, რომ ერთ ადამიანს ეკონტროლებინა მთელი სახელმწიფო და ჩვენთვის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტი დაენიშნა.

ნინო ბურჯანაძის თქმითვე, აქედან გამომდინარე, მოვლენების ამგვარი განვითარება სრულიად მოსალოდნელი იყო.

„ვწუხვარ, რომ კიდევ ერთხელ, ისევე როგორც არაერთგზის, ჩემი პროგნოზი გამართლდა.

ქვეყანა დღეს ურთულეს მდგომარეობაშია. ძალიან მძიმე ვითარებაა როგორც საერთაშორისო არენაზე, ასევე ქვეყნის შიგნით. რაც ქვეყანაში ხდება, ეს სამარცხვინოა, როცა მთავრობა, რომელიც კოჰაბიტაციურ რეჟიმშია „ნაციონალურ მოძრაობასთან,“ ვერ ახერხებს ელემენტარულ კოჰაბიტაციას და თანამშრომლობას საკუთარი გუნდის წევრებთან იმ დონეზე მაინც, რომ ეს საერთაშორისო სკანდალად არ იქცეს. მე, როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს და პოლიტიკოსს, შემიძლია გითხრათ, რომ არ მახსენდება მსგავსი პრეცედენტი, რომ ქვეყანაში იყოს დავა და კამათი, ვინ უნდა წავიდეს ვიზიტით ასეთი უმაღლესი დონის შეხვედრაზე. კიდევ უფრო სამარცხვინოა, როდესაც აღმოჩნდა რომ მთელი მთავრობა და საგარეო უწყება დაკავებულია იმით, რომ პრეზიდენტის ვიზიტი ჩაშალოს, ნაცვლად იმისა, რომ ვიზიტისთვის ემზადებოდეს. ვერაფერს სასიკეთოს ეს მთავრობა ჩვენს ქვეყანას ვეღარ მოუტანს და ნამდვილად დროა, რიგგარეშე არჩევნებზე სერიოზულად ვიფიქროთ“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, სამწუხაროდ, საქართველო, ნორმალური სახელმწიფოების რიგში უკვე კარგა ხანია არარ არის და ჩვენთან პოლიტიკური პროცესები არანორმალურად ვითარდება.

„ასე, რომ პროგნოზების გაკეთება ნამდვილად რთულია. მაგრამ ის, რომ ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ასეთი კრიზისის განსამუხტავად ვადამდელი არჩევნები დაინიშნებოდა, ეს პოლიტიკის ანაბანაა. კარგი იქნება თუ ჩვენი საზოგადოება ამას ადექვატურ შეფასებას მისცემს,“– განაცხადა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

**ნიუსპრესი**

## პოლიციამ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1993 წელს დაბადებული ბაქარ ფ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბაქარ ფ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „ჩემპიონ-მაგნუმი“-ის მოდელის არარეგისტრირებული საფანტის პისტოლეტი, „ტოზ-8“-ის მოდელის შაშხანა და 6 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა სასროლად ვარგისია.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## ნუგზარ წიკლაური: „ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური კრიზისია“

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი წევრის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადება, რომ მისი აშშ-ში ვიზიტი ჩაშლილია, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური კრიზისია.

„ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ დისფუნქციონირებას, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაშია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური კრიზისია. როდესაც პრეზიდენტი აღიარებს, რომ მთავრობა მის წინააღმდეგ მოქმედებს, ამას სხვა არაფერი არ ჰქვია თუ არა მძიმე პოლიტიკური კრიზისი“, – განაცხადა წიკლაურმა.

მარგველაშვილის განცხადებით, აშშ-ში მისი ვიზიტი ჩაშლილია და ის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე აღარ გაემგზავრება. მარგველაშვილმა ამასთან დაკავშრებით საგანგებო ბრიფინგი გამართა და აღნიშნა, რომ ბოლო დროს პრეზიდენტის და პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ გახშირებული კრიტიკა ისმის.

**ნიუსპრესი**

# სევდია უგრეხელიძე: „ნარმანიამ გამრავლების ტაბულა არ იცის“

გულიკო ბალაძე

საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალ „კვირის“ პრესკლუბში მიწვეულმა ქალაქ თბილისის ვიცე-მერმა სევდია უგრეხელიძემ ჟურნალისტების შეკითხვების პასუხად ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა და ტყუილ-მართალი ერთმანეთში აურია, მშვიდი ტონით გალანძღა ოპონენტები. თუმცა, ჩვენმა ერთმა შეკითხვამ ის მწყობრიდან გამოიყვანა. რატომ იცავს სევდია უგრეხელიძე ნაციონალებს, როცა დემოკრატები არასოდეს ყოფილან, დასავლური ორიენტაცია, რეალურად, არასოდეს ჰქონიათ (ყველაფერი რუსეთს დაუთმეს), ეროვნულებიც არასოდეს ყოფილან – პირველი პრეზიდენტი გადმოასვენეს და სახელმწიფო შენობებიდან დროშაც კი არ დაუშვიათ?

– გასულ წელს 50 მილიონი დააკლო ცენტრალურმა ხელისუფლებამ თბილისის მერიას იმ საბაბით, თითქოს ის ჩვენ ვერ დავხარჯეთ. ის 50 მილიონი მიღებული იყო აუქციონებიდან ზედმეტი შემოსავლით და ტენდერებში დანაზოგით ანუ ნაკლები ფასით შემოსული კომპანიებიდან. თუ თანხის დაუხარჯაობა დანაშაულია, ახლა ცენტრალურ ხელისუფლებას 4 მილიარდამდე დაუხარჯავი დარჩა. 50 მილიონი თბილისის მერიას იმიტომ დააკლეს, თვლიდნენ, რომ ეს იყო გიგი უგულავას მერია და მისთვის ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა შეეზღუდათ. აღმოჩნდა, რომ ეს 50 მილიონი სჭირდება ქალაქს, მისი კუთვნილია, ვინაიდან 40 მილიონი ჩვენ დაგეგმილი გვქონდა ადგილობრივი საწარმოების ქონების გადასახადიდან. რეფორმის შედეგად, ყველა გადასახადზე ერთიანი გადახდის ბარათი უნდა ყოფილიყო, პირდაპირ წამოვიდოდა თბილისის ბიუჯეტში, მაგრამ ეს რეფორმა ვერ განახორციელა ცენტრალურმა ხელისუფლებამ. ამიტომ თბილისის ბიუჯეტში არ წამოვიდა ჩვენი კუთვნილი 40 მილიონი. ის ჩვენი კუთვნილი თანხა იყო და უნდა გადმოგვირიცხონ. ნარმანიას, რომელსაც თავის გუნდშიც არ გააჩნია ავტორიტეტი, აიძულებენ, აიღოს სესხი. ახლა საკრებულოს თანხმობას იღებს. ამბობენ, რომ საკრედიტო ხაზი ჯერ არ არსებობს, მაგრამ ხომ დაგეგმეს. სხვაგვარად საკრებულოს თანხმობას რატომ მიიღებდნენ? ეს არის სრულიად დაუშვებელი. კომერციული ბანკიდან სესხს იღებდეს ქალაქი. ასეთივე სესხები და ბევრად მეტი აქვს ცენტრალურ ხელისუფლებას, ვიდრე ჰქონდა წინა ხელისუფლებას ჰქონდა. ნარმანიას ავტორიტეტი არ გააჩნია, ნარმანია არის ერთადერთი ნიშნით, მონური მორჩილებით ივანიშვილის მიმართ და აგრესიით გამორჩეული. ამბობს, რომ პოლიტიკოსია. სანამ მოვიდოდა, ამბობდა, კარგი მენეჯერი ვარო. როგორ არის კარგი მენეჯერი, როცა 800 მილიონი აუთვისებელი დარჩა თავისი სამინისტროს ბიუჯეტში. ეს არის დაუშვებელი. მოვითხოვთ ეს სესხი არ იქნას აღებული და ცენტრალურმა ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და ჩვენი კუთვნილი თანხა მოგვცეს. ჩვენ არ ვართ ქალაქის მტრები, ჩვენ ყოველთვის ვთავაზობთ, რომ ერთობლივად განვახორციელოთ ყველა საქმე. – ამას მოითხოვს სევდია უგრეხელიძე, თითქოს ნაციონალური მოძრაობა და თვითონ ოპოზიციას ან ვინმეს რამეს ეკითხებოდნენ.

კითხვაზე, რა საფრთხეს ხედავს ამ სესხის აღებაში, სევდია უგრეხელიძე ისევ თვე-ნახევრის მოსული მერიის ახალი ხელმძღვანელობის მუშაობის კრიტიკაზე გადადის.

– კომერციული ბანკიდან სესხით ქალაქს პროცენტებით ზედმეტი თანხა ექნება გადასახდელი. საფრთხეა, საერთოდ, ამ მთავრობის საფრთხე. ქალაქ თბილისის მთავრობა არაეფექტურია. იგი ვერ მუშაობს, არ არის დაკომპლექტებული პროფესიონალებით. თვეზე მეტია შესული არიან მერიის შენობაში და ნორმალური მიღებაც ვერ ჩაუტარებიათ. ის მიღებაც არ იყო საჭირო, რადგან ჩვენ ხალხს ვხვდებოდით ყოველდღე მთელი სამუშაო დღის განმავლობაში და კიდევ სამუშაო დღის შემდეგ. ოღონდ მივდიოდით ადგილებზე მუნიციპალიტეტებში. გიგი უგულავა ყველა მუნიციპალიტეტში რიგრიგობით (30 მუნიციპალიტეტი იყო) ატარებდა შეხვედრებს. ასევე გამუდმებით ხვდებოდა ყველა სამსახური და ყველა გამგებელი მოსახლეობას. ამისთვის მერიაში ამ ხალხის თავმოყრა და პიარის მიზნით, თითქოს ხალხს იმედი აქვს „ქართული ოცნების“ და იქ გულის წასვლები და სასწრაფოები, არა მგონია, ამშვენებდეს მერიის იმიჯს. – ასკვნის სევდია უგრეხელიძე, რომელსაც არაფერი მოსწონს მერიის ახალი ხელმძღვანელობის. მათ შორის, მოქალაქეების მიღების დღის დაწესება. ალბათ, იმიტომ, რომ ამ მიღებამ გამოაჩინა ის მწვავე პრობლემები, რაც დაუგროვდა თბილისის მოსახლეობას ნაციონალური მოძრაობისა და უგულავა-უგრეხელიძის მმართველობის დროს. უგულავა მუნიციპალიტეტებში რომ შეხვედროდა ვინმეს, მას თან ტელევიზია ხომ წაჰყვებოდა. ჩვენ ვიცით, ხშირად სადაც დადიოდა უგულავა ბიუჯეტის ფულებით. ეს იყო ბარებსა და საუნებში. ამის ამსახველი სამარცხვინო ვიდეო და აუდიოკადრები ინტერნეტსივრცეში არაერთხელ გვინახავს.

ჟურნალისტის კითხვაზე, რამდენიმე კვირის წინ ნარმანიას ბრძანებით დაწყებული მერიას დაქვემდებარებული შპს-ების შემოწმების თაობაზე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი არგუმენტი მათი მხრიდან, რომ მოხდა მერიის ბიუჯეტზე ფულის გადახდის დაკლება ამ შპს-ებში ჩატარებული საბიუჯეტო მანიპულაციებით. თბილისის ყოფილი ვიცე-მერი კმაყოფილია ამ კითხვის დასმის გამო.

– ძალიან დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. ეს ისეთი კითხვაა, რომელსაც აქვს ძალიან სასაცილო პასუხი. ნარმანიამ გამრავლების ტაბულა არ იცის. ასევე არ იცის, რომ კვარტალში არის სამი თვე. მან განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტს დააკლდა დიდი თანხები. რადგან სარეკლამო კომპანიისთვის კვარტალურად დაწესებული იყო 18 ლარის ოდენობით გადასახადი და იგი გახდა 6 ლარი. დიახ, დაწესებული იყო კვარტალურად გადასახდელი 18 ლარი და იგი გახდა 6 ლარი. მითხარით, რა დააკლდა? 18-ის ექვსზე გაყოფა ნარმანიამ არ იცის – არ ჩაიხედა ქაღალდებში და ძალიან ცუდი მენეჯერია. ასეთი თანამშრომლები ჰყავს, არაპროფესიონალები. იგი უშვებს პროფესიონალებს, თითქოსდა პოლიტიკურად ანგაჟირებულები არიან, რაც სიცრუეა. ნარმანიამ განაცხადა, „სითი პარკმა“ 1 ლარით მოუგო სხვა კომპანიას. ეს არის აბსოლუტური მტკნარი სიცრუე. იქ იყო 2%-იანი ბიჯი. 2% ერთი ლარი ვერაფრით იქნებოდა. ვინ დაუწერა ასეთი სისულელე. 1 ლარი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ 50 ლარზე იქნებოდა საუბარი. „სითი პარკს“ სამი მილიონი შეჰქონდა. ის ამ ბიჯის შედეგად 60%-ს ურიცხავს სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, 2%, სადღაც 100 ათასის ფარგლებში იყო ბიჯი. ჯერ ერთი, არ მოუგია 1 ბიჯით, რამდენიმე ბიჯით მოუგო. ნარმანიას ასევე დათვლასთან აქვთ სერიოზული პრობლემა, როგორიც არის გამრავლების ტაბულა და პროცენტის გამოანგარიშება. – ამბობს სევდია უგრეხელიძე და არ ახსენდება, როგორ კარგად დაითვალა გიგი უგულავამ 50 მილიონი და შესანსლეს. კიდევ რამდენი ჩაიჯიბეს, უფალმა უწყის.

სევდია უგრეხელიძემ დაადასტურა, რომ როცა მოვიდნენ ხელისუფლებაში, გამოცდილი სპეციალისტები კი არ მიუღიათ, არამედ შრომითი საქმიანობა მათ პირველად მერიაში დაიწყეს. ამასთან, ის პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს და აცხადებს,

რომ არ იცოდა, ვანო მერაბიშვილის სიდედრი მერიაში თუ მუშაობდა.

– წერა-კითხვის უცოდინრები მოჰყავთ და უშვებენ ადამიანებს, რომელთა მთელი დანაშაული ისაა, რომ იყვნენ ახალგაზრდები და მათ შრომითი საქმიანობა დაიწყეს 9 წლის წინ, გიგი უგულავას დროს. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ყველანი მორწმუნე ნაციონალები არიან. ჩვენ ისეთი საჯარო მოხელეები გამოვზარდეთ, რომლებიც აბსოლუტურად დისტანცირებულები იყვნენ პარტიული საქმიანობისაგან. თუ ვინმე იყო ისეთი, ვისაც იდეურად შეუთავსებლობა ჰქონდა „ქართულ ოცნებასთან“, დატოვა კიდევაც თანამდებობა. ასეთი იყო ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე მარიკა დათუკიშვილი. ქალბატონ ხატისკაცს მივმართავ, ის მოდის უფლებადაცვითი ორგანიზაციიდან და სირცხვილია, რომ ხელს აფარებს ასეთ უკანონობას და პოლიტიკური შერჩევით პრინციპს. ეს არ არის პოლიტიკური. უნდათ ადგილები გამოათავისუფლონ, რათა ნეპოტიზმით, ოჯახური, კლანური პრინციპით დანიშნონ თავიანთი ხალხი ამის საპასუხოდ, გვეუბნებიან, თქვენ გყავდათ ვანო მერაბიშვილის სიდედრიო. ალბათ, ის ადამიანი ჩემამდე მუშაობდა რიგით თანამშრომლად. რიგით თანამშრომლად მუშაობა ნაციონალური მოძრაობის წევრებს არ ეკრძალებოდათ და არც მათ არ ეკრძალებათ.

– ამბობენ, რომ ვანო მერაბიშვილის სიდედრი არ დადიოდა სამსახურში და არავითარ სამუშაოს არ ასრულებდა, ისე იღებდა ხელფასს.

– მე ნამდვილად არ ვიცოდი, საერთოდ თუ მუშაობდა. თუ არა ასრულებდა თავის მოვალეობას. პასუხი მოსთხოვონ მის უშუალო უფროსს. შეიძლება, ის მოვალეობას არ ასრულებდა იმ მომენტიდან, რაც ოჯახური პრობლემები შეექმნა, შეიძლება, ჯანმრთელობის გამო. სამი თემაა, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება და სრულიად ამორალურად იყენებს „ქართული ოცნება“ ვითომდა „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციისთვის. ნაციონალურმა მოძრაობამ, რა დისკრედიტაციაც მოხდა, იმის გამო პოლიტიკური პასუხი აგო. ნათესავების მუშაობაზე ხმა ამოსაღები არ აქვთ, რადგან ბიძინა ივანიშვილმა პირდაპირ გამოაცხადა, ეს საქართველოაო, ღარიბაშვილმა კი თქვა, ცოლის ნათესავი ნათესავი არ არისო. თუ ცოლის ნათესავი ნათესავი არ არის, როგორც ჩანს, კალაძის ცოლისძმაც არ არის ნათესავი.

მეორე – პრემიების თემა. როდესაც მე მიწერს ნარმანია და მარცხვენს ჩემი პრემიების გამო. დადონ თავიანთი პრემია, შიხიაშვილის პრემია (138 მილიონით მეტი დახარჯეს მათ 2013 წელს, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა ხარჯავდა), შეადარონ შიხიაშვილის 400%-იან პრემიას და მერე მითხრან. 65 წლის ვარ. დათვალონ, მთელი ცხოვრების განმავლობაში რა შემოსავალიც კი მიმიღია საქართველოში და ისე მითხრან, რომ საქართველო გავძარცვე 65 წლის განმავლობაში.

– ეწერა, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 89 ათასი ლარი აიღეთ.

– რამდენიც არ უნდა ეწეროს, არ აქვს მნიშვნელობა, დაადონ თავიანთ პრემიები, შიხიაშვილის, პროკურატურის პრემიები ჩემს პრემიას. წელიწად-ნახევარი შიხიაშვილთან ბრძოლაში გავატარე, რომ დამეცვა თბილისის მოქალაქეები და გადავარჩინე ქალაქის მომსახურების გარეშე დატოვებას. ეს არის, უბრალოდ, შურისძიების მცდელობა, მერია რომ ვერ დაარბიეს. გიგი უგულავას საქმე აღუძრეს, გადააყენეს, დააპატიმრეს, მაგრამ მათ ჩემი ვიცემერობის პერიოდში, მერიაში შემოჭრა და დანგრევა ვერ მოახერხეს, რასაც დღეს აკეთებენ. რას აკეთებენ დღეს? არაეფექტურად მუშაობენ.

***– ქალბატონო სევდია, რად გიღირთ ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი ჯგუფის დაცვა? რატომ იცავთ მათ?***

– თქვენ არღვევთ ყველა ჟურნალისტურ ეთიკას.

***– არავითარ ეთიკას არ ვარღვევ.***

– არღვევთ, ვინაიდან „დანაშაულებრივ ჯგუფად“ არ უღიარებია საზღვარგარეთს, ამერიკას, ევროკავშირს. დანაშაულებრივი ჯგუფი არის ბედუკაძე და ბასტი და ბუბუ ციხეში უნდა იყოს და თქვენ არ უნდა იღებდეთ მათგან ინტერვიუს.

***– მე გეკითხებით, თქვენ რატომ იცავთ-მეთქი ნაციონალებს?***

– მე „დანაშაულებრივ ჯგუფთან“ ნუ მაიგივებთ, რადგან ეს არის ამორალური. რომელი პრესიდან ხართ? თქვენ ხართ პროვოკატორი და მეტი კითხვა არ დამისვათ, იმიტომ რომ უზრდელურად მელაპარაკებით.

აი, ასე შემამკო სევდია უგრეხელიძემ იმის გამო, რომ მისთვის მიუღებელი კითხვა დავსვი, შემდეგ კი ტენდერებზე გააგრძელა საუბარი.

სევდია უგრეხელიძემ კომენტარი გააკეთა ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუსთან დაკავშირებითაც.

– ბატონი ბიძინა ივანიშვილის სენტენციებზე ვიტყვი – მაშინაც კი, როდესაც იგი პრემიერ-მინისტრი გახლდათ, ყოველი მისი გამოსვლა იყო სალაღობო. ბიძინა ივანიშვილი აგრესიას ძალიან კარგად ნიღბავდა. ეს არის იგივე აგრესია და გაგრძელება იმისა, რომ დაისაჯოს მარგველაშვილი. არ ვთვლი, რომ მარგველაშვილი ამოვარდნილია ამ გუნდის მოქმედებებიდან. უბრალოდ, მოინდომეს მისი დაჩაგვრა, სტატისტად გადაქცევა და ჩაკეტვა ორ ოთახში. მარგველაშვილი არ მოსწონთ, რადგან განათლების დონით, კულტურით, საუბრით, მეტყველებით, პოლიტიკური კულტურით, პოლიტიკური ცოდნით რამდენჯერმე თავით აღემატება. არა მარტო სიმაღლითა და მხოლოდ თავისი ჰიპოტეტური გარეგნობით, არამედ თავისი ქცევით ყველა „ქართული ოცნების“ წევრს სჯობია. ვერავის დავასახელებ და ვერ შევადარებ ვერც მინისტრებიდან და ვერც პარლამენტის წევრებიდან. თუმცა, ჩემთვის მიუღებელია „ქართული ოცნების“ ნებისმიერი წარმომადგენელი, რადგან ისინი მაინც ივანიშვილის პოლიტიკის გამტარებლები არიან. ეს პოლიტიკა კი დამღუპველია. ეს არის ერთგვარი სახიფათო თამაში დასავლეთსა და რუსეთს შორის, რაც კარგად არ დამთავრდება საქართველოსთვის. მარგველაშვილი მათ შორის საუკეთესოა.

ამას რომ ამბობს სევდია უგრეხელიძე და არ ახსენდება, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინება სწორედ სააკაშვილის დამსახურებაა, რადგან მას პრემიერ– მინისტრის მანტიის მორგება და ამ გზით დიდხანს ხელისუფლებაში დარჩენა უნდოდა. როგორც ჩანს, სევდია უგრეხელიძეს ეხერხება განხეთქილების მარცვლის ჩაგდება და შეგნებულად არ იხსენებს, სააკაშვილის თამაშმა როგორ განსაცდელში ჩააგდო ქვეყანა და რამდენი დააკარგვინა.

– მითხარით, ვინ არის „ქართულ ოცნებაში“ მარგველაშვილზე უკეთესი? – ეს კითხვა თვითონ სევდია უგრეხელიძემ დასვა და ჟურნალისტებისაგან მიიღო პასუხი: ალასანია. თუმცა სევდია უგრეხელიძემ ისიც არ დაინდო, ჯარს ვერ უვლისო.

– ალასანია იმდენად არ არის საუკეთესო, რამდენადაც არ გამოთქვამს არანაირ აზრებს არაფერთან დაკავშირებით. მარგველაშვილმა გამოთქვა თავისი აზრი. პრეზიდენტი რომ იყოს ალასანია, მას არავითარი საკუთარი მოსაზრება არ ექნება. ალასანია ნამდვილად არ არის შტერი. იგი ჩვენი მინისტრი იყო. გუშინ პირველად თქვა ალასანიამ, რომ გაეროში პრემიერ-მინისტრი უნდა წავიდეს. ალასანიასაც არ გააჩნია თავისი ნებელობითი სისტემა. მას არ გამოუვლენია პიროვნული თვისებები. აქედან გამომდინარე, როგორ უნდა ყოფილიყო ის პრეზიდენტი? პრეზიდენტი საომარი ვითარების დროს, საგარეო ურთიერთობებში წამყვანი ფიგურა უნდა იყოს. ის იყო ელჩი და მას არ ჰქონდა თავისი აზრის გამოთქმის უფლება. თუმცა, გაეროში საქართველოს ხაზს ატარებდა კარგად, დამოუკიდებლად. ახლა, როგორც მინისტრი, გარკვეულწილად, განაგრძობს იმ ხაზის გატარებას, მაგრამ ვერ უვლის ჯარს. ჯარს ფორმებს ვერ უცვლიან. ძველი ფორმები შემოეხიათ. იცით, რა საკვები შედის ჯარში? იცით, რომ ჯარიდან ხალხი გარბის? იმის გამო, რომ საჰაერო თავდაცვის სისტემა მოხსნა, ვერ უწევს წინააღმდეგობას. თურმე არ მოეწონა, რომ პროვოკაციას წამოვეგეთ.

**კითხვაზე, რით შეუძლია დაადასტუროს ჯარში არსებული ცუდი მდგომარეობა, უგრეხელიძე ამბობს, რომ მას მაქვს კონკრეტული ფაქტები.**

– მინისტრი არ არის მისაღები, ვისგანაც ჯარისკაცები გარბიან. თვეში სამჯერ დამპალ ხორცს აჭმევენ და საშინელი კუჭ-ნაწლავის დაავადებები ემართებათ. ჩვენ დროს საუკეთესო საკვები და საუკეთესო მომარაგება იყო.

ჩვენს კითხვაზე, რომ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, ნაციონალებმა ისეთი პრობლემები დაახვედრეს თავდაცვის უწყებაში, რომელზეც საქვეყნოდ საუბარი არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, ისევ აგრესიულად მიპასუხა:

– თქვენ კითხვის დასმის უფლება არ გაქვთ. უფლება მაქვს, თქვენი არაეთიკური გამონათქვამის გამო არ გიპასუხოთ.

– არაეთიკური არაფერი მითქვამს. თქვენ ვერ ამიკრძალავთ კითხვის დასმას. თვითონ რამდენი შეურაცხმყოფელი სიტყვა თქვით, იმაზე დაფიქრდით.

– ამ ჟურნალისტის პირით ღაღადებს ეს ხელისუფლება, იმიტომ რომ, როდესაც მათ პასუხი არ აქვთ, ამბობენ, აბა, თქვენ დროს რომ ასე იყოო. თუ რაღაც ცუდი იყო ცხრა წლის განმავლობაში, ის კი არ უნდა გააღრმავო, უნდა მოსპო. მე, პირადად, ადამიანის უფლებებს ვიცავდი.

ჩვენს კითხვას, „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა-აო“, რომ ამბობთ, მაშინ რატომ არ იღებდით ხმას, სააკაშვილის დროს მაღლა გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა რომ იყო, სევდია უგრეხელიძე ასევე აგრესიით შეხვდა და პასუხიც არ გაუცია.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმპალლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თამარ ჩხეიძე: „დასავლეთის ინტერესი საქართველოს მიმართ უცვლელია“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე თამარ ჩხეიძესთან

***– ხელისუფლებამ საზოგადოება მიაჩვია იმ აზრს, რომ უელსის სამიტზე მაპს არ მოგვცემდნენ, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ, პირიქით, საკმაოდ მძიმე შედეგები მივიღეთ. ახალი პუნქტი შევა ნატოს დებულებაში, რომლის მიხედვითაც სამხედრო ან ეთნიკურ კონფლიქტში მყოფი ქვეყანა ნატოს წევრი ვერ გახდება. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ მუხლს?***

– ეს სერიოზული პრობლემაა, რომ არ შეეტანათ ეს პუნქტი თავად ეს არ მინახავს, თუ ამას შეიტანენ, დე ფაქტო უარყოფითად იმოქმედებს ნატოში ჩვენს გაწევრიანებაზე.

***– არის ვარაუდი, რომ ამ პუნქტის შეტანა დღის წესრიგში უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებმა განაპირობა. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ საქართველომ სამიტიდან დამძიმებული შედეგი მიიღო.***

– მე ვფიქრობ, რომ დასავლეთის ინტერესი საქართველოს მიმართ უცვლელია, ხელი არ აუღიათ ამ ინტერესზე ამ ტერიტორიების მიმართ, მაგრამ დღეს არ არიან მზად სერიოზული ნაბიჯის გადასადგმელად. საწვრთნელი ბაზის შექმნის შესახებ ითქვა, მხარდაჭერაზე თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების თვალსაზრისით, ეს დადებითი მომენტებია, ასევე კვლავ მხარს გვიჭერენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობაში. მეტის მოლოდინი არც იყო. რა თქმა უნდა, ჩვენთვის სასურველი იქნებოდა, არათუ მაპი გადმოეცათ ჩვენთვის, არამედ რუსეთი ფაქტის წინაშე დაეყენებინათ, რომ მიგვიღეს თავის რიგებში. თუმცა ცნობილია, მაგალითად, გერმანიის განწყობა ჩვენ მიმართ, ამიტომ არც უნდა გვქონოდა რაიმე სხვა მოლოდინი.

***– გერმანიის კანცლერ მერკელის რჩევამ დიდი ხმაური გამოიწვია, ეს იყო მეგობრული რჩევა თუ თავაზიანი წინადადება უკრაინის ხელისუფლებისადმი, რომ ეფიქრათ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაზე. ამის უკან რა იმალება, არავინ იცის. ეს რაიმე მინიშნება ხომ არ არის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ზოგადად?***

– რა თქმა უნდა, ცუდად შეფასდა ეს ნათქვამი. მერკელმა ასე თქვა, უკრაინას შეუძლია, შევიდეს ევრაზიულ კავშირშიო, გაუმართლებელი ფრაზაა. იურიდიულად ყველა სახელმწიფოს შეუძლია, ამაზე იფიქროს, მაგრამ ამ ვითარებაში ეს იყო უადგილოდ ნათქვამი. ეჭვის თვალით ისედაც ვუყურებ ანგელა მერკელის მოქმედებებს.

***– აირაის კვლევები ამ ხელისუფლების კრიტიკის საგანია, თუმცა არის ნიშანდობლივი საკითხები, მაგალითად, სახიფათო ქვეყნად რუსეთს მიიჩნევდნენ ახლა ეს ციფრი გამოკითხულთაგან 42%-მდე შემცირდა. ქართველების 36% თვლის, რომ რუსეთის საფრთხე გადაჭარბებულია, დასავლეთის კურსის მიმართ 65% იყო მომხრე, აგვისტოში კი შემცირდა და არის 59%. თქვენ როგორ აფასებთ ასეთ რადიკალურ ცვლილებებს პოზიციებში?***

– მე არ ვიცი ამ კვლევების სიზუსტე, მაგრამ არაადეკვატურობა რომ ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას, ეს ჩანს ჩვენი პოლიტიკური განვითარების შედეგებიდან. სამწუხაროა, რომ რუსეთის საფრთხეს, რომელიც აშკარაა და დავას არ იწვევს, ასე აფასებენ. რომ არ მომხდარიყო ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია და უკრაინის ამბავი, შეიძლება, ასეთი ყოფილიყო შეხედულება, მაგრამ ამ ფონზე, როცა ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები, და უკრაინაში მიმდინარეობს სამარი მოქმედებები, ხალხს იტაცებენ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, ეს არ გვაქვს კარგად გათავისებული და გააზრებული. მაინცდამაინც ბინაში უნდა შეიჭრას რუსი ჯარისკაცი ვინმესთან, რომ გაიაზრონ ამ ვითარების სიმძიმე? ან ვინმეს ოჯახის წევრი უნდა დაღუპვოდა აგვისტოს ომის დროს?

***– უამრავი საგარეო გამოწვევა გვაქვს, მაგრამ საშინაო პრობლემაც მრავლად გვაქვს. ახლა იმაზე კამათობენ მთავრობა და პრეზიდენტი, თუ ვინ წავა გაეროს ასამბლეაზე, ივანიშვილმაც მისცა ინტერვიუ „კვირის პალიტრას“ და ამბობს, რომ ისეთი ღარიბი ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, ორი დელეგაცია არ უნდა მიდიოდეს. თქვენ როგორ აფასებთ ამ დაპირისპირებას?***

– რა თქმა უნდა, ანომალიური მოვლენაა, რომ ასეთი რამ ხდება, ორი დელეგაცია მიდის იმიტომ, რომ ვერ თანხმდებიან ერთმანეთთან. ეს გამოიწვია იმან, რომ არა მარტო ზოგადად პრეზიდენტის ინსტიტუტის, არამედ მარგველაშვილის დისკრიმინაცია ხდება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან. ივანიშვილმა ჩათვალა, რომ მარგველაშვილი არასაკმარისად მორჩილია მის მიმართ. ამის შემდეგ მთელმა ხელისუფლებამ ახალი მტრის ხატი შექმნა მარგველაშვილისგან. დევნა ხორციელდება ყოფილი პრეზიდენტის მიმართ და ახლა კი მოქმედი პრეზიდენტის მიმართაც არის ამის აშკარა ნიშნები. მთელი მთავრობა ცდილობს პრეზიდენტის დამცირებას და მასთან დაპირისპირებას.

***– უგულავას წერილი, რომელიც გავრცელდა სოციალურ ქსელებში, საინტერესოა, თუმცა მისი ავტორობა თავად ამ წერილის სავარაუდო ავტორმა უარყო, აქვე ჭიკაიძის ინტერვიუ გამოქვეყნდა. თითქოს შეიარაღებული შეთქმულებისკენ არის მოწოდებები და სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზების მცდელობა დაბრალა ნაციონალებს. თუმცა, მე რაც ვნახე, ამ წერილში საუბარია პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლაზე. თქვენ ამაზე რას იტყვით?***

– დარწმუნებული ვარ, ეს რევოლუციები არ შეესაბამება რეალობას, ოცნების წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმაც კი გააკეთა კრიტიკული შენიშვნა ამასთან დაკავშირებით. სერიოზული საფუძველი უნდა ჰქონდეს შსს-ს, რომ ამაზე ისაუბრონ. ჯერჯერობით რაც ჩანს, არის მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლა დასაშვები მეთოდებით. მხოლოდ კრიმინალზე თუ აქვთ რაიმე ფაქტები, ამაზე უნდა მოხდეს რეაგირება.

***– ბოლო დროს წამლების რეცეპტებით გაცემასა და სხვა გადაწყვეტილებებზე როგორია თქვენი აზრი?***

– შეუძლებელია, ამან გამოიწვიოს დადებითი დამოკიდებულება, ერთადერთი, რაც გააკეთა ამ ხელისუფლებამ, არის საყოველთაო დაზღვევის ელემენტები, ხოლო ახალი რეგულაციების შემოღებით მოსახლეობას ცხოვრება გაურთულდა. როცა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას იღებს ხელისუფლება, უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული გარემო და ცხოვრების დონე. კიდევ არის ერთი აღმაშფოთებელი რამ, ცხოველების შესახებ მინდა ვთქვა. ფაქტობრივად, აუკრძალეს ცხოველების მკურნალობა ადამიანებს. ვეტერინარებს რეცეპტით წამლის გამოწერის უფლება არა აქვთ და ცხოველების მკურნალობა გართულდა.

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვ[illegible]ებთ

# „მაგთიკომმა“ ცნობილი მხატვრის, გოგი ჩაგელიშვილის ალბომი გამოსცა

**„მაგთიკომმა" მსოფლიოში ცნობილ მხატვრის გოგიჩაგელიშვილის ნამუშევრთა ალბომი გამოსცა. გოგი ჩაგელიშვილი თანამედროვეობის ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამოჩენილი მხატვარია, რომელიც 1000-ზე მეტი ფერწერული ტილოს ავტორია. ალბომის პრეზენტაცია ტრადიციულად „მაგთიკლუბში" შედგა.**

პრეზენტაციას, მხატვრის ოჯახის წევრები, ახლობლები,დედაქალაქის კოლორიტი ადამიანები ესწრებოდნენ, იყო ბევრი თბილისიტყვა, მილოცვა, ძველი, ტკბილი წლების გახსენება.

მნიშვნელოვანია ის, რომ „მაგთიკომი“ ერთგულია თავისიფასეულობის ამსახველი დევიზისა - „ჩვენ ქართულ საქმესვაკეთებთ“. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კომპანია ცდილობსსაზოგადოებას სრულფასოვანი წარმოდგენა შეუქმნას თანამედროვექართველ მხატვრებზე.

„მაგთი კლუბისთვის“ ასეთი ღონისძიება უცხო არ არის.ამჯერად, საზოგადოებას მხატვარ გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევრებისალბომი წარვუდგინეთ. ვფიქრობ, ეს ნამდვილად საგანძურია მომავალითაობისთვის, რადგან საშუალებას აძლევს, შეისწავლონ დააღიზარდონ ეროვნულ ღირებულებებზე. ეს არის ნამდვილად ქართულისაქმის კეთება, რასაც მომავალშიც გავაგრძელებთ და შეეცდებით,რომ შთამომავლობას კიდევ უფრო დიდი საგანძური დავუტოვოთ“, -აღნიშნა „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისმენეჯერმა თათული ღვინიაშვილმა.

გოგი ჩაგელიშვილი მრავალი წელია საქართველოს დამსახურებულიმხატვრის წოდებას ატარებს. მხატვარ ჯგუფური და პერსონალურიგამოფენები მოწყობილი აქვს როგორც საქართველოში, ისე მისსაზღვრებს გარეთ. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსთანამედროვე სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში,საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ქუთაისში, დავითკაკაბაძის სახელობის მუზეუმში, ამბროლაურის გალერეაში, მოსკოვისტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში და ასე შემდეგ.

„მხატვარი უჩვეულო სიმსუბუქით ირხევა ბუნებასა და ადამიანსშორის, არ ეძებს სიღრმეებს - ისინი აქეთ პოულობენ. წინასწარარაფერს აგებს, მთლიანად ენდობა შიშველ ინტუიციას და საკუთარქმნილებას პროცესშივე ეცნობა“, - ალბომის შესავალში წერსფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, დავით ანდრიაძე.

ეს გოგი ჩაგელიშვილის მეორე ალბომია, პირველითურქეთში, დაახლოებით, 11 წლის წინ გამოიცა. „მაგთიკომთან“საკმაოდ დიდი ხანია, ახლო და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ცოტახნის წინ შემომთავაზეს, ჩემი ალბომი გამოცემულიყო. ძალიან დიდიპატივი მცა კომპანიამ, მეუხერხულება კიდეც. ჩემი პირველი ალბომი2003 წელს თურქეთში გამოიცა, „მაგთიკომის“ ინიციატივით კისაზოგადოებას მეორე ალბომს ვთავაზობ. როცა ასეთი დიდი ალბომიგამოდის, მასში მთელი შემოქმედება, ცხოვრება ექცევა. დაახლოებითათი ნამუშევარი ამოვიღე კიდეც, რადგან ძალიან სქელტანიანი დამძიმე გამოდიოდა. შედეგი მაინც არაჩვეულებრივი მივიღეთ დაზოგადად, „მაგთიკომს“ ყოველთვის შესანიშნავი შედეგი აქვს ხოლმე,რადგან კომპანია საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. მადლობა მინდაგადავუხადო ყველას, ვინც ამ ალბომის შექმნაზე იმუშავა არამხოლოდ ჩემი, არამედ ყველა მხატვრის სახელით“, - განაცხადა გოგიჩაგელიშვილმა.

ხელოვნებათმცოდნე დავით ანდრიაძე აღნიშნავს, რომ დღეს, გოგიჩაგელიშვილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართულფერწერაში. ამასთანავე, იგი პოპულარულია ევროპაში.

„ძალიან იშვიათი შემთხვევაა, თუმცა ფაქტია, გოგი 40წელია არტსცენაზეა და დღემდე სულ უფრო იკრებს ძალებსა დაპოპულარობას. გარდა ამისა, იგი ერთ-ერთი ყველაზე კონვერტირებადიმხატვარი, ძალიან პოპულარულია ევროპაში, ამერიკაში. მანმოახერხა ის, რომ იყოს ერთნაირად მიღებული მხატვარი არა მხოლოდ-პროფესიულ სფეროში. ყველას უნდა, რომ გოგის ნახატი ჰქონდეს.არსებობს მხატვრის შემოქმედების ორი ფორმა - ან უნდა მოხვდესმუზეუმში, ან უნდა გამოიცეს ალბომი. ალბომი შეიძლება ბევრსაშუალო დონის მხატვარს ჰქონდეს, თუმცა რასაც „მაგთიკომი“აკეთებს, პირველხარისხოვანი მხატვრების ალბომებს ამზადებს“, -განაცხადა დავით ანდრიაძემ.

კომპანიის ხელშეწყობით უკვე გამოიცა ირაკლი ფარჯიანის,ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბაბრამიშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის, თემოგოცაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ელგუჯა ამაშუკელის, ოთარჩხარტიშვილის, ემირ ბურჯანაძის, ბიძინა ავალიშვილისა და ლევანცუცქირიძის ნამუშევართა ალბომები. ასევე არქიტექტორების გიგაბათიაშვილისა და გივი ჯაფარიძის შემოქმედების ამსახველიწიგნები

ნინო ბერიძე

# ბატონ ნიკოლოზ ცხაკაიას შეუსრულდა 85 წელი

**ნიკოლოზ ცხაკაია არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ხელბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი.**

# გთავაზობთ ნიკოლოზ ცხაკაიას ლექსებს

### ბაბუის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე III-ის სახლი სურამში

ისევე იქ დგას ის ძველი სახლი,
სქელი კედლებით და ჭერით
თალხით,
ძველი ფიქრებით, ხალისით ახლით,
სავსე ოცნებით, სავსეა ხალხით.
და ვით ამაყი მებრძოლის სული,
სახლში ტრიალებს მისი წარსული.
ვინც ააშენა და დაამშვენა
სიკეთის, სიბრძნის, შარავანდედით
ხან ვარდისფერი, ხან ლურჯი
ხედით,
მჭვუნვარე ფიქრით და ქართლის
ბედით.
სახლი არ ფარავს თავის ნაოჭებს.
სულით დაგხარით კათოლიკოსი
და მისი ლოცვა, ვით ანგელოზი
სულ თქვენთან არის, შთამომავალნო,
ფეხბედნიერნო, აქ მომავალნო.
რომ თქვენ ყოველთვის გამკობდეთ
მთვარე,
მზედ გინათებდეთ ეს არემარე,
მუდამ გათბობდეთ თქვენ
სიყვარული,
ღმერთი გფარავდეთ, გიძგერდეთ
გული,
ხარობდეთ მარად ხელჩაჭიდულნი.

### ჩემს მეუღლეს, ლეილას

ერთგულების, მეგობრობის,
ხელოვნების მოყვარულს,
სილამაზის სიმბოლოს და
ღირსებით მოხატულს,
სინაზის და მოკრძალების ნიჭით
დაჯილდოებულს
თავმდაბლობის მაგალითს და
მშვიდობის მოხარულს,
მუდამ შენით რომ ვარსებობ,
მიტომ გიშლი ამ ჩემს გულს.

2013 წელი

### ქვეყნის პატრიოტი

ის ავად არის. ეს ანთებაა.
ვით კელაპტარი, იწვის სხეული
სარეცელზეა თითქოს დაბმული
და მაგრად უტევს სენი, წყეული.

ისე ძლიერი არის ანთება,
იწვის სხეული, როგორც სანთელი;
იბრძვის ამაოდ კაცი უბადლო,
თვალებჭკვიანი და შუბლნათელი.

ისე ძლიერად წამოუბერავს
და გააცივებს ძლიერი ქარი,
რომ ვეღარ შველის სიცხით
გათანგულს
წამალი კარგი, ვერც დასტაქარი.

და ვერც იმისი ლამაზი ცოლი,
ის მშვენიერი კეთილი ქალი.
ვერც ვაჟიშვილი შველის რაიმეს
და წვავს უცეცხლოდ ანთების ალი.

ბორგავს ლოგინში, კარგავს
გონებას
ხან ბურანშია, ხან კი სიზმარში,
უცბად გაისმის ზარის წკრიალი
და ხმაც: „ადექი, გამოდი კარში“.

არ დააყოვნა, წამოდგა მყისვე,
არად ჩააგდო ავადმყოფობა
მზად არის, გული სამშობლოს
მისცეს,
სად გაგონილა დღეს უქმად ყოფნა?

და მიაშურა საყვარელ საქმეს,
უხმობს სამშობლო და ხალხის ვალი,
და სასწაული მოხდა – ჩაუქრა
მწველი ანთების ყოველი კვალი.

გაოცებული არს დასტაქარი
ასეთი საქმე არ გაუგია!
ფილტვის ანთება
სულის ანთებას რომ ჩაუქრია!

### ქართველებს

სხვა ვინ გაივლის იმ შარაგზაზე,
რომელიც შენი გასავლელია.
სხვა ვინ გაივლის იმ დიდ აღმართზე,
რომელიც შენი ასავლელია.
სხვა ვინ დაგილევს ცხოვრების თასსა,
რომელიც შენი დასალევია.
სხვა ვინ დაგიძლევს ფათერაკს ასსა,
რომელიც შენი დასაძლევია.
სხვა ვინ აგიგებს ლამაზ სასახლეს,
რომელიც შენი ასაგებია.
ორ რიგ ლიანდაგს სხვა ვინ
დაგიგებს,
რომელიც შენი დასაგებია.

ვინ დაგიფასებს შენ მაგ მარჯვენას,
ან სიტყვას სხარტულს, ანუ
მარჯვ ენას.
ვინ აგამაღლებს და ვინ გასწავლის
სიყვარულს, პატივს და დედაენას.
ვინ გასულდგმულებს და
გაცისკროვნებს,
შეგხვდება მუდამ წუხილით,
ლხენით,
ვინ გფარავს მტერთა და ავკაცთაგან,
ვინ გხვდება აბჯრით, ბედაურ ცხენით.

შენი მამული, ხალხი, ოჯახი.
ის, რასაც ჰქვია სამშობლო შენი.

### ნუგა

**ეძღვნება აწ გარდაცვლილ ჩემს მეგობარს, ჟორა დოლიძეს**

მცხეთას წავედი ჰალვის საშოვრად.
ვიარე მთები, ვიარე ვაკე,
იქ შემხვდა ჟორა, ჰალვა რად გინდა,
**ნუგა** შეჭამე, **ნუგა** ა...ე.

და დაუკვირდი შენ ამ სახელსა
ცოტა შეჭამე, **ნუგა** სივდები
თბილად ჩაიცვი, **ნუგა** ცივდები
იყავი ცოცხლად, **ნუგა** რდიცვლები
იარე ნელა, **ნუგა** იქცევი
ტანი დამალე, **ნუგა** ტიტვლდები
იყავ ჯანმრთელად, **ნუგა** ფითრდები,
ოჯახს მიხედე, **ნუგა** ირყვნები
ზომიერ იყავ, **ნუგა** ივსები
ქალს დაინახავ, **ნუგა** ხელდები
შენს სამსახურში, **ნუგა** შტერდები,
სხვის საქმეებში **ნუგა** ერევი
და ყოველ წვრილმანს **ნუგა** ედები.
დაგებულ მახეს **ნუგა** ებმები,
ბევრის ჭამითა **ნუგა** ღორდები,
ბევრის ქებითა **ნუგა** დიღლები,
იყავ მიწისა **ნუგა** ფრინდები.

ბევრ სხვა სიტყვაში კიდევ არს **ნუგა**,
ჰალვა მოგინდა? დაბრუნდი უკან,
ვინც გზაში შეგხვდეს, **ნუგა** ატაკე
**ნუგა** შეჭამე, **ნუგა** ა...ე.

### საქართველო

ამ საქართველოს რომ დაინახავ,
აგეხილება მაშინვე თვალი,
თუ რა ნაზ დოზას უნდა შეერწყას
დედამიწა, ცა, ცეცხლი თუ ალი.

შრომა და გარჯა და წარმატება,
მოვალეობა, ჰაერი წყალი
რომ გამოვიდა ადამიანი,
მხოლოდ ასეთი კაცი თუ ქალი.

გაამრავლე ერთმანეთზე სიმამაცე,
სიყვარული,
სინაზე და ვაჟკაცობა, ბევრი ერის
წარმოთქმული,
თავდადება და სამოთხე, მიუმატე
წრფელი გული,
შენ ეს მხარე გამოგივა საკვირველი,
სასწაული.

### ვულის ექიმი

**გულიკო ჩაფიძეს**

**გულ**თმისანი იყო ერთი,
სწამდა ხალხის, სწამდა ღმერთი,
მას ეყოლა სათნო ქალი
ქალი მხოლოდ დედისერთი.

**გულის** დაარქვა სახელი,
**გულ**ნარაო მას უწოდა,
**გული**კოცო, ამბობს მთქმელი,
**გულის** ვარდი გაუწოდა.

**გულზე** ყველა წარმონათქმი
გამოჭრილი არის მისთვის,
**გულს** მკურნალობს ყველა სახის
საქმისათვის, განა თქმისთვის.
გარჯას არის დაჩვეული
წელიწადის ყველა თვისთვის.

**გული**სხმიერი, **გულ**ადი,
უდრეკი, ვითა ფოლადი.
**გულ**მართალი და **გულ**წრფელი,
ბევრი ვნახე ამის მთქმელი.

**გულ**უხვი და **გული**ანი,
ერთ**გული** და **გულ**მაგარი,
ყველა ქალზე უმშვენესი,
და ბრწყინვალე, ვით თამარი.
ყველა **გულის** მომრჩენი ხარ,
გინდა იყოს თვით ინფარქტი,
დასტაქარი უებარი – უამრავი არის
ფაქტი.

პირველ ქალად ყველამ გიცნო,
რადგანა აქვთ ამის ტაქტი.
თვისი **გულით** ხალხს გზა მხოლოდ
ერთხელ გაუნათა დანკომ,
ეს ამბავი რომ გაიგეს,
ყველა ერმა ის შეამკო.

მაშინ შენზე რას იტყვიან,
**გულ**მხურვალევ და **გულ**მნათო,
მარტო შენი **გულის** ძგერით
ქვეყანა რომ გაანათო.
მზე **გული**დან რომ ამოგდის,
ერთადერთო – განა ათო!
ყველა მშიერს, მცივანს, მტკივანს,
ერთი სხივით რომ გაათბობ.

**გულ**ფიცხ მეგრელს, გურულს,
ფშავსა,
**გულ**დინჯ რაჭველს, ლეჩხუმელსა,
კახელს, სვანსა **გულ**ზვიადსა,
იმერელსა **გულ**კეთილსა,
რუსსა, სომეხს, უკრაინელს,
თეთრკანიანს, თუნდაც შავსა,
რომ აცოცხლებ შენი რჩევით
დღენიადაგ, მარადჟამსა.
ამ ხალასი ნიჭისათვის
ყველა ერთად გიხრის თავსა.

**გულ**ამოფსკვნილს დააწყნარებ,
**გულ**ჩათხრობილს მისცემ რჩევას,
**გულ**გახეთქილს ხომ მოარჩენ,
გადაარჩენ გადარევას.

**გულ**უბრყვილოს დაარიგებ,
**გულ**ნატკენსა **გულს** უკეთებ,
**გულ**ამომჯდარს გაახარებ,
საქმეს ნახავ სხვას უკეთესს?

**გულ**ღვარძლიანს და **გულ**ბოროტს
აღმოხდებათ **გულში** კვნესა
**გულ**ცივს, **გულ**ქვას, ავ**გულს**,
ორ**გულს**
მოესწრაფვის შენკენ – შენსა.

იქნებ მკერდიც აეხადათ,
ჩაგეხედა შიგნით მზესა,
**გულ**ნათელი მაგალითი
გადაეღოთ შენი დღესა,
**გულ**თბილობა, **გულ**ჩვილობა
შემოეღოთ მუდამ წესად.

**გულ**წითელა, **გულ**ყვითელა,
აქ ბულბული, იქ გუ**გული,**
ყველა თევზიც შენ შეგხარის,
კალმახი, თუ ორა**გული**.
თითქოს მათაც გაუგიათ,
მოურჩინო უნდა **გული.**

ამ ქვეყანას მოუბრუნე,
წარსული, თუ დაკარ**გული**,
ინგლისურად მოუბარნი და
რომ იციან ფრან**გული**,
დამშვრალი ბევრი გარჯითა,
დაღლილი, ან გათან**გული**,
ვაჟკაცი თავის ქცევითა
გმირი არის, თუ ლომ**გული**.
ყვავილებიც მათ მოგართვეს,
და მრავალი თაი**გული**.

არც მწერალი კლიენტი ვარ,
არც ნოდარი, არც ჯანსუღი,
**გულ**ბაათი
სიყვარულით დაგიწერე,
და **გულ**და**გულ** შენ მოგართვი ეს
ბარათი.

# პეტრო პოროშენკო: უკრაინა ერთიან უნიტარულ სახელმწიფოდ დარჩება!

**– უკრაინა ერთიან უნიტარულ სახელმწიფოდ დარჩება! – განაცხადა პრეზიდენტმა პოროშენკომ, ამ საკითხში დათმობაზე არასოდეს მივდიოდი და არც წავალ!**

**ამავე დროს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დონბასის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელსაც დღეს სეპარატისტები აკონტროლებენ, ერთიანი უკრაინის ფარგლებში დროებით განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭება.**

**– ამას პარლამენტი უკვე მომავალ კვირაში განიხილავს, – თქვა პოროშენკომ.**

## არც ომი, არც მშვიდობა

მინსკის ხელშეკრულებების შემდეგ დონბასში შეტაკებების ინტენსიურობა შემცირდა. მიუხედავად ამისა, ნამდვილი მშვიდობის დამყარებამდე ჯერ შორია. სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები პროვოკაციას პრივოკაციაზე ახორციელებენ.

– მხოლოდ 10 სექტემბერს სეპარატისტებმა უკრაინულ ბლოკ-პოსტებს 20-ჯერ ესროლეს. მთელი დღის განმავლობაში დონბასის ტერიტორიაზე 3 უკრაინელი სამხედრო დაიღუპა, – იტყობინება ანტიტერორისტული ოპერაციის მთავარი შტაბი.

დონეცკში გასული დღის განმავლობაში შედარებით სიმშვიდე იყო. სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა გამთენიისას აეროპორტის დაკავება კვლავ სცადეს. აეროპორტში გამაგრებულმა უკრაინელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს. მტერმაც უკან დაიხია.

– ამის შემდეგ მათ აეროპორტის შტურმი აღარ უცდიათ, – იტყობინება ტელე -კომპანია მე-5 არხი.

დონეცკის მოსახლეობამაც ოდნავ ამოისუნთქა. ქალაქის ქუჩებში ხალხმა იმატა. ტრანსპორტიც შეფერხებებით, მაგრამ მაინც ამუშავდა. ესაა ოღონდ, რომ დროდადრო ავტომატის ჯერი ისმოდა. მთვრალი სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები ან ჰაერში ისროდნენ, ან მარინკასთან გამაგრებულ უკრაინელ მეომრებს ცეცხლს უხსნიდნენ, თუმცა „გრადები“ არ გამოუყენებიათ. უკრაინელთა მხრივ საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები ლანძღვა-გინებით იწევდნენ უკან:

– მოიცათ, უკრებო, თქვენი დროც მოვა! სტალინს ვენაცვალე, უკრებს რომ მუსრს ავლებდა! პუტინი კი, იმის მაგივრად რომ სტალინივით მოიქცეს, ხოხოლებს ელოლიავება, რაღაც მოლაპარაკებებს მართავს, ფუი!

ლუგანსკში დონეცკისაგან გასხვავებით არ ისროდნენ, თუმცა ქალაქში უმძიმესი მდგომარეობაა. ინფრასტრუქტურა მთლიანად დანგრეულია, არ არის წყალი, შუქი, გაზი. მწვავედ იგრძნობა სურსათის, წამლების, საწვავის დეფიციტი. მოსახლეობაც ქალაქის დატოვებას განაგრძობს:

– რა მნიშვნელობა აქვს, გინდა ტყვიას მოუკლიხარ, გინდა შიმშილს!

მარიუპოთან შედარებით სიმშვიდე იყო. სეპარატისტებს და რუს ჯარისკაცებს ქალაქის შტურმი აღარ უცდიათ. არც მარიუპოლ-დონეცკის ტრასის დაკავებას ცდილობდნენ. ესაა ოღონდ, რომ ნოვოაზოვსკის მხრიდან უკრაინელ მეომრებს რამოდენიმეჯერ ცეცხლი გაუხსნეს. საბედნიეროდ მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა მარიუპოლი მტრის იერიშის მოლოდინშია. ქალაქში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. მოქმედებს კომენდანტის საათი. აკრძალულია მიტინგები, დემონსტრაციები, ხალხმრავალი შეკრებები. შეზღუდულია მოქალაქეთა გადაადგილება. ყველა მისადგომი უკრაინელ მეომრებსა და ადგილობრივი ტერიტორიული დაცვის ბატალიონების კონტროლქვეშაა. ნოვოაზოვსკი ხომ კვლავაც რუსების ხელში რჩება. მტერიც მარიუპოლიდან სულ რაღაც ორმოც კილომეტრზეა გაჩერებული.

– ჩვენ მარიუპოლს არავის დავანებებთ, – განაცხადა ქალაქში ჩასულმა პეტრო პოროშენკომ.

11 სექტემბერს დებალცევოსთან მდგომარეობა დაიძაბა. უკრაინელებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ რუსები ქალაქის შტურმს აპირებდნენ. მართლაც ქალაქს რუსი ჯარისკაცებისა და სეპარატისტების გაერთიანებული რაზმი მოადგა. რიცხობრივი უპირატესობა მტრის მხარეს იყო. თავდამსხმელებს ჰქონდათ ტანკები, „გრადები“. უკრაინელებმა დებალცევოსაკენ მაშველი ძალა გადაისროლეს. ამის შემდეგ მტერმა უკან დაიხია.

– შეტაკებები მოხდა სლავიანოსერბსკთან, სევეროდონეცკთან, კარანსი ლუჩთან – იტყობინება „ინტერი“.

მიუხედავად ამისა, სეპარატსტების ყველა მცდელობა, წინ წაეწიათ, ამაო გამოდგა. უკრაინელებმა დაკავებული პოზიციები შეინარჩუნეს. სეპარატისტების საიტი „რუსსკაია ვესნა“ აღიარებს, რომ ვერც მარიუპოლზე, ვერც დებალცევოზე, სევეროდოეცკზე თუ სხვა ქალაქებზე რუსული დროშა ვერ აღიმართა:

– მომავალში ეს აუცილებლად მოხდება, – იტყობინება „რუსსკაია ვესნა“.

სეპარატისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე აკრძალულია ყველა უკრაინული პოლიტიკური პარტია თუ გაზეთი. მოქალაქეებს ხვრეტენ მხოლოდ იმის გამო, რომ უკრაინული წიგნი უპოვეს. სამაგიეროდ დაწყებულია რუსული პასპორტების გაცემა. არის მცდელობა, რათა მიმოქცევაში რუსული ფული დაამკვიდრონ, ანუ მეორდება ის, რაც აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ხდება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უკრაინელებმა დონბასის 70 პროცენტის შენარჩუნება მოახერხეს.

## საეჭვოდ ჭკვიანი იყო

ამრიგად უკრაინაში რუსული ბლიც-კრიკი ჩაიშალა. რუსებმა მარიუპოლის აღება ვერ მოახერხეს, შესაბამისად ვერც ყირიმისაკენ კორიდორი ვერ გაჭრეს. მართალია სეპარატისტები იმუქრებიან, მარიუპოლსაც ავიღებთ და ღვოვამდეც მივალთო, მაგრამ დღეს უკვე ყველა ხვდება, რომ ეს ილუზიაა.

– ომი უკრაინაში ხანგრძლივი და სისხლიანი იქნება! სასწორიც ხან ერთი მხარისაკენ გადაიხრება, ხან მეორისაკენ, – წერს რუსი პოლიტოლოგი გლებ პავლოვსკი.

კრემლი უკრაინელების მხრივ ასეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას არ მოელოდა. დღეისათვის უკვე 2000-მდე რუსი ჯარისკაცია მოკლული.

რუსი პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ უკრაინას სავალალო მომავალი მოელის.

– სააკაშვილი ჭკვიანი იყო. ის მიხვდა, რომ მისი ქვეყანა რუსეთთან ომს ვერ შეძლებდა და კაპიტულაციაზე ხელი მოაწერა! მართალია საქართველომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაკარგა, მაგრამ დანარჩენი ტერიტორია შეინარჩუნა! სააკაშვილმა ფართომასშტაბიანი რეფორმებიც გაატარა! უკრაინა კი რუსეთთან ომზე წავიდა, რითაც საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა! ქვეყანაც მალე მარტივ მამრავლებად დაიშლება, – წერს სერგეი მარკოვი.

კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

## რას ნიშნავს განსაკუთრებული სტატუსი?

პრეზიდენტ პოროშენკოს გამოსვლამ უკრაინელები საგონებელში ჩააგდო. რას ნიშნავს განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც დონბასის ცალკეულ რეგიონს მიენიჭება? შესაბამისი დოკუმენტები არავის თვალითაც არ უნახავს. ამას გარდა როგორ მოხდება ამ სტატუსის განხორციელება? დღეისათვის დონეცკს რუსული არმია და სეპარატისტები აკონტროლებენ, მის გარეუბნებს კი უკრაინელი სამხედროები. მათ ხელშია დონეცკის აეროპორტიც. ამიტომ პოროშენკოს მრჩევლის ლუცენკოს სიტყვებმა, დონბასის ტერიტორის გარკვეულ ნაწილსა და დანარჩენ უკრაინას შორის ჩინური კედელი უნდა აღიმართოსო, ბევრი საგონებელში ჩააგდო. უკრაინელი პოლიტოლოგები ამტკიცებენ, რომ საუბარი ე.წ. „განსაკუთრებული სტატუსის“ შესახებ მორიგი მახეა, რაც პუტინმა უკრაინას დაუგო.

– ამისი შედეგი შეიძლება იყოს: 1) დონბასის სახით ახალი დნესტრისპირეთის გაჩენა; 2) დონბასის ბოსნიიზაცია. ერთიცა და მეორეც უკრაინის ევროინტეგრაციას უდიდეს პრობლემებს შეუქმნის, – თვლის პოლიტოლოგი პოტაპენკო.

პოროშენკოს სიტყვები მკაცრად გააკრიტიკეს „ბატკოვშჩინის“ ლიდერმა იულია ტიმოშენკომ, რადიკალური პარტიის თავმჯდომარემ და უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ, პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა და სხვებმა.

– დონბასის ის ნაწილი, რომელსაც ჯერჯერობით ვერ ვაკონტროლებთ, ოკუპირებულ ტერიტორიად უნდა გამოცხადდეს, – თვლის ლიაშკო.

უკრაინის შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსით დარჩენა დონბასელ სეპარატისტებისათვისაც მიუღებელია. ე.წ. „დონეცკის რესპუბლიკის“ ლიდერმა ზახარჩენომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მომხდარის შემდეგ უკრაინის შემადგენლობაში არასდიდებით არ დავრჩებით. ამას გარდა უკრაინულმა არმიამ მთელი დონბასი უნდა დატოვოსო. სეპარატისტების მეორე ლიდერი გუბარევი უფრო კატეგორიული იყო:

– მინსკში რაღაც შეთანხმებებს მიაღწიეს ხელი, მაგრამ ეს ფიქციაა! ამას უბრალოდ მივაფურთეხებთ და მორჩა!

## რუსეთთან კონფრონტაცია ხანგრძლივი და სისხლიანი იქნება

– პუტინმა უკრაინაში სწრაფ გამარჯვებას ვერ მიაღწია. აღმოჩნდა, რომ უკრაინაში ასე თუ ისე სახელმწიფო აუშენებიათ. შეიარაღებული ძალებიც ავად თუ კარგად ფუნქციონირებენ. მოსახლეობის უმრავლესობა პატრიოტულადაა განწყობილი, – იტყობინება რადიო „თავისუფლება.“

ამრიგად პუტინმა ნოვოროსიის შექმნა ამ ეტაპზე ვერ შეძლო, თუმცა პროგრამა-მინიმუმს მიაღწია, ქალაქები დონეცკი და ლუგანსკი შეინარჩუნა. რუსული არმია და სეპარატისტები რეგიონის ტერიტირიის 30 პროცენტს აკონტროლებენ. რასაკვირველია, გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ პუტინს დონბასის შეერთება სურს. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს უფრო შორს მიმავალი გეგები აქვს. ის უკრაინის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის ანექსიას გეგმავს. დონბასი კი დანარჩენ უკრაინაზე შეტევის პლაცდარმად სურს გამოიყენოს.

– პუტინი შეეცდება მინსკის შეთანხმებები ჩაშალოს, ეს ჩვენ გადმოგვბარალოს და საომარი მოქმედებები გააჩაღოს, – თვლის ბატალიონ „დონბასის“ მეთაური სემიონ სემენჩენკო.

ამრიგად, რუსეთის პრეზიდენტი თავისი მიზნისაკენ ჯიუტად მიდის, თუკი ამ ეტაპზე საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, მის განხორციელებას გზაფხულზე შეეცდება. უკრაინას უმძიმესი ზამთარი ელის. უკმაყოფილოთა რუცხვი გაიზრდება. პუტინიც შეეცდება ეს გამოიყენოს და ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყოს. ამ დროს გამოიყენებს როგორც რეგულარულ არმიას, ასევე დივერსანტებსაც, რომლებიც მოაწყობენ მასობრივ არეულობებს, განახორციელებენ ტერაქტებს, დივერსიებს, საბოტაჟს. უკრაინის უშიშროების სამსახურის ცნობით რუსული დივერსიული ჯგუფები უკვე გამოჩნდნენ ხარკოვში, ზაპოროჟიეში, ოდესაში. მართალია ჯერჯერობით ისინი გასუსულები არიან, მაგრამ გზაფხულზე აუცილებლად გააქტიურდებიან. ასევე მოსალოდნელია დივერსანტების გააქტიურება იმიერკარპატისპირეთსა და ბუკოვინაში.

– უახლოესი ორი-სამი წლის მანძილზე უკრაინა რუსეთთან მწვავე კონფრონტაციისათვისაა განწირული, – თვლის რადიო „თავისუფლება“.

უკრაინაში უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ იმაზე, რომ რუსეთთან საზღვრის დაცვა უნდა გაძლიერდეს. მთავრობამ უკვე შეიმუშავა პროექტი „კედელი“, ის რუსეთთან საზღვრის მთელს პერიმეტრზე ბერლინის კედლის ანალოგიური ნაგებობა აშენებას ითვალისწინებს .

– აქ იქნება სანგრები, ბლინდაჟები, ანუ გაკეთდება ყველაფერი, რათა რუსული არმია არ შემოვუშვათ, – აცხადებს პრემიერი იაცენიუკი.

რუსეთთან ომს საგანგებო მომზადება სჭირდება, საამისოდ კი მშვიდობიანი შესვენებაა აუცილებელი. უკრაინელთა უმრავლესობაც ე.წ. „მინსკის ზავს“, ან საუბარს დონბასის ცალკეული რეგიონისათვის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, მხოლოდ ამ კუთხით განიხილავს.

# ბრიტანეთის დედოფალი შოტლანდიის დამოუკიდებლობის გარშემო გამართულ დისკუსიაში არ ჩაერევა

ინგლისის დედოფალი ელისაბედი შოტლანდიის დამოუკიდებლობის გარშემო გამართულ დისკუსიაში არ ჩაერევა, – ნათქვამია ბუკინგემის სასახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, – ეს საკითხი მხოლოდ შოტლანდიელი ხალხის გადასაწყვეტია.

რეფერენდუმი შოტლანდიის დამოუკიდებლობის გამო 18 სექტემბერსაა დანიშნული. თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვებისა, მოსახლეობის 51 პროცენტი დამოუკიდებლობის მომხრეა. ბრიტანეთის პრემიერმა ქემერონმა შოტლანდიელებს ბრიტანეთის სამეფოს შემადგენლობაში დარჩენისაკენ მოუწოდა.

**ნიკა თევზაძე**

## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## განცხადებები

● ვართ გამოცდილი სპეციალისტები სამშენებლო დარგში: სანტექნიკა, ელექტრობა, დემონტაჟი, კაფელ-მეტლახი, შეკიდული ჭერები. ტელ: 514-350-440.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# ლევან ყიფიანი ხესუს ვასკესს შეხვდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი „სასკი ბასკონიას“ ფონდის დირექტორს, ხესუს ვასკესს, რომლის მფლობელობაშია საფეხბურთო გუნდი „ალავესი“ და ბასკონიის სპორტის უნივერსიტეტის დამფუძნებელს ინიაკი ურკიახოსს შეხვდა. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები, ეფუძნებიან რა მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებსა და აცნობიერებენ რა საქართველოში ფეხბურთისა და კალათბურთის განვითარების აუცილებლობას, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სამოქმედო გეგმასთან, განიხილავენ თანამშრომლობის პერსპექტივებს, რათა მიაღწიონ ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებას შესაბამისი ზომების შემუშავებით და აცხადებენ თავიანთი განზრახვის შესახებ ხსენებულ მემორანდუმში.

**მემორანდუმის არსი:**

წინამდებარე მემორანდუმი შემუშავდა საკონსულტაციო ჯგუფის შექმნის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ფეხბურთისა და კალათბურთის განვითარებას და დაახლოებას მსოფლიო სტანდარტებთან. საკონსულტაციო ჯგუფის მთავარ საქმიანობას უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების პროფესიული ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაშიც აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ფონდის ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსები, რაც ხელს შეუწყობს პერსპექტიული სპორტსმენების სამომავლო წარმატებულ სპორტულ კარიერას. წინამდებარე მემორანდუმის მხარეები, ეფუძნებიან რა, მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს და ითვალისწინებენ რა, ფონდის დიდ გამოცდილებას, ასევე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სამომავლო გეგმებს, თანხმდებიან ორმხრივ თანამშრომლობაზე შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

შეიქმნას საკონსულტაციო ჯგუფი თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით (დამატებით განისაზღვრება სამართლებრივი და საორგანიზაციო ფორმა);

მოიწვიონ ექსპერტები საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობის წესის შემუშავებისთვის;

შეიქმნას ყველა პირობა საკონსულტაციო ჯგუფის ეფექტური ფუნქციონირებისთვის;

მოხდეს ყველა საორგანიზაციო საკითხის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტა;

ჯანმრთელი თაობის, წარმატებული ფეხბურთელებისა და კალათბურთელების აღზრდისა და მათი მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მხარეები დახმარებას გაუწევენ საკონსულტაციო ჯგუფს შესაბამისი სპეციალისტების შერჩევაში და მათ საქართველოში ჩამოყვანაში, რათა შემდგომში ჩაატარონ მასტერკლასები და ტრეინინგები;

თავის მხრივ, ფონდი უზრუნველყოფს ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენების გამგზავრებას თავის კლუბებში, მათი სრულფასოვანი განათლებისა და პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით;

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მათი თანამშრომლობის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა ერთმანეთს დახმარება გაუწიონ საერთო მიზნების მიღწევაში, რაც საწყის ეტაპზე გამოიხატება ფონდის რესურსების მაქსიმალური მობილიზაციით და მიმართული იქნება ფეხბურთისა და კალათბურთის განვითარების, სპეციალისტებისთვის სასწავლო ვიზიტების უზრუნველყოფის, სასწავლო და საკონკურსო ღონისძიებების მხარდაჭერის, პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდისა და მათთვის მაღალი რეიტინგის მქონე კლუბებთან კონტრაქტის დადების ხელშეწყობისთვის. თავის მხრივ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო გამოხატავს სრულ მზადყოფნას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს კერძო სამართლის ყველა იურიდიულ პირს, რომელიც საკუთარ წვლილს შეიტანს ამ მნიშვნელოვან წამოწყებაში. მხარეები თანხმდებიან, რომ თავიანთი მიზნების სრული განხორციელებისთვის საჭიროა სწრაფი და ეფექტური ორმხრივი თანამშრომლობა.

# საკალათბურთო ჩემპიონატში მონაწილეობა ჯერ მხოლოდ დინამომ განაცხადა

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სუპერლიგის 2014-15 წლების სეზონთან დაკავშირებით ფედერაციის ხელმძღვანელობასა და კლუბების წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.**

შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი დაესწრო, რომელიც სუპერლიგის მოთამაშეებს შეხვდა.

კალათბურთელებმა ფედერაციის ხელმძღვანელობასთან და მინისტრთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს და დაფინანსებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. მოთამაშეებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა წინა წლებთან შედარებით არ უნდა შემცირდეს, რადგან ამით ჩემპიონატის დონე არათუ იგივე დარჩება, არამედ დაიწევს კიდეც.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი და ფედერაციის ხელმძღვანელობა მოთამაშეებს კალათბურთის განვითარების პროექტზე ესაუბრა, რომელიც 2015 წლის იანვრის თვიდან ამუშავდება.

მინისტრის განცხადებით, ფედერაციასთან ერთად სამინისტრო აქტიურად მუშაობს „კალათბურთის განვითარების გრძელვადიან პროგრამაზე“, რომელიც 2015 წლის იანვრიდან ამოქმედდება და რომელიც სამომავლოდ საქართველოში კლუბების დაფინანსების ისეთი ბაზისს შექმნის, რაც თავის მხრივ ქვეყანაში კალათბურთის სტაბილური განვითარების საფუძველი გახდება.

აღნიშნული პროექტი მოაწესრიგებს ეროვნული ჩემპიონატის პრობლემატიკას და ასევე ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის, ბავშვთა და ახალგაზრდული კალათბურთის წინსვლასა და საკლუბო სისტემის დახვეწას.

ახლი პროექტის ამუშავებამდე კი, მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა უწყებრივი საკალათბურთო კლუბი კვლავ დაფინანსდება ამა თუ იმ უწყების მიერ, რადგან პრობლემა არ შეექმნას საქართველოს მოახლოებული ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას, ხოლო 2015 წლიდან ახალი პროექტი ამუშავდება.

შეხვედრამ დაახლოებით ორ საათს გასტანა, რომლის დასრულების შემდგომ კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო დეპარტამენტი სუპერლიგაში მოასპარეზე კლუბების ხელმძღვანელებს შეხვდა და მომავალი სეზონის დებულებასთან დაკავშირებით იმსჯელა.

საშეჯიბრო დეპარტამენტი სუპერლიგის გუნდებთან მომდევნო შეხვედრას 17 სექტემბერს, გამართავს და დებულებასთან დაკავშირებულ სადღეისოდ წამოჭრილ სხვადასხვა საკითხებს გადაწყვეტს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დარბაზში 8 გუნდის წარმომადგენელმა მოიყარა თავი (სოხუმი, არმია, შსს აკადემია, დინამო, ოლიმპი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი). მათგან წერილობითი თანხმობა ჩემპიონატში მონაწილეობის თაობაზე მხოლოდ „დინამოს“ აქვს წარმოდგენილი. დანარჩენმა გუნდებმა კი ფედერაციას მონაწილეობის შესახებ ოფიციალური პასუხი 22 სექტემბრამდე უნდა შეატყობინონ, რის შემდეგადაც გუნდებთან ერთად გადაწყდება ჩემპიონატის ჩატარების ზუსტი თარიღი.

**მიხეილ გაბრიჩიძე:**

– ჩემპიონატი აუცილებლად ჩატარდება და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა ვიმედოვნებთ სოლიდური იქნება. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მოთამაშეები კმაყოფილნი დარჩნენ. ამ ეტაპზე სუპერლიგაში ასპარეზობის მსურველი 8 გუნდია. მათთან სამუშაო შეხვედრები კიდევ გაგრძელდება და ერთობლივად გადაწყდება ჩემპიონატის დაწყების თარიღი. ასევე ხვალ დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა ასაკობრივი ლიგების გუნდებთან.

**კოტე ტულუში:**

– კლუბის უშუალო ხელმძღვანელობისგან დღეს, რამდენიმე საათის წინ მივიღე დაპირება, რომ დაფინანსება იქნება, რათა კლუბმა იანვრამდე იარსებოს, შემდეგ კი „არმიაც“ შემოთავაზებული პროგრამის მიხედვით გააგრძელებს არსებობას. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ძალიან კარგია, რომ ყველა მხარე – სამინისტრო, ფედერაცია, კლუბები, მწვრთნელები, მოთამაშეები ერთად შევიკრიბეთ და საკუთარი პოზიცია დავაფიქსირეთ. ამ 5-წლიან პროექტზე იმედები მყარდება, რომ ის რეალურ შედეგს გამოიღებს და საქართველოში კალათბურთი წინ წავა. ამისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. თუმცა, აშკარად ჩანს და ფაქტია, რომ ეროვნული ჩემპიონატი საფრთხის წინაშე დგას და მისი დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე გასულ წლებში. ეს, რა თქმა უნდა, კარგ შედეგს არ მოგვიტანს. მინისტრი დაგვპირდა, რომ მუშაობა გაგრძელდება და იმედია წლის ბოლოს, როცა ახალი პროექტი უნდა ამუშავდეს, უკეთესი სიტუაცია იქნება.

**ბესიკ ლეჟავა:**

– როგორც დღევანდელი შეხვედრიდან გაირკვა, წელს გუნდებს უფრო ნაკლები ბიუჯეტი ექნებათ. მინისტრის მიერ შემოთავაზებული გეგმა ითვალისწინებს განვითარებას არა ამ სეზონში, არამედ უფრო შორეულ პერსპექტივაში. შესაბამისად, წელს ჩემპიონატის დონე ნამდვილად დაიწევს, ამ გეგმის მიხედვით ეროვნული ჩემპიონატი სტაბილურ სახეს შემდგომ წლებში მიიღებს და ნელ-ნელა უფრო წინ წავა. გასაგებია, რომ რთული სიტუაციაა და უნდა მოვითმინოთ, თუმცა, ჩემი აზრით, იმ თანხებზე, რაზეც ლაპარაკია, ძალიან ბევრ კალათბურთელს არ უღირს თამაშის გაგრძელება. შესაბამისად, ბევრი უარს იტყვის თამაშზე, რაც სუპერლიგის დონეს ძალიან დაწევს, ხოლო თუ ეროვნული ნაკრების წევრებიც არ გააგრძელებენ ასპარეზობას, ეს ნაკრებზეც ცუდად აისახება.

# ევროპირველობისთვის ქალაქებს შეარჩევს

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი კალათბურთში 2015 წელს განსხვავებული ფორმატით რომ ჩატარდება, ვწერდით. ნოვაციას აქვს ჩაფიქრებული ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს – უეფას, რომელიც 19 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის 13 მასპინძელი ქალაქის ვინაობას ოფიციალურად დაასახელებს.

სწორედ 13 ქალაქი უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფებსა და ფინალს.

ევრო-2020-ის მასპინძელი ქვეყნებისა და ქალაქების მსურველთა სია 18-ს შეადგენს და შემდეგნაირად გამოიყურება:

აზერბაიჯანი (ბაქო), ბელარუსი (მინსკი), ბულგარეთი (სოფია), დანია (კოპენჰაგენი), ინგლისი (ლონდონი), მაკედონია (სკოპიე), გერმანია (მიუნხენი), უნგრეთი (ბუდაპეშტი), ისრაელი (იერუსალიმი), იტალია (რომი), ჰოლანდია (ამსტერდამი), ირლანდია (დუბლინი), რუმინეთი (ბუქარესტი), რუსეთი (სანკტ-პეტერბურგი), შოტლანდია (გლაზგო), ესპანეთი (ბილბაო), შვედეთი (სტოკჰოლმი), უელსი (კარდიფი).

აქედან, 13 შეირჩევა, 5 კი ევროპირველობის მასპინძლობის გარეშე დარჩება.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ცენტრალური ამერიკის თასი**

| | |
|---|---|
| ნიკარაგუა-პანამა | 0:2 |
| გვატემალა-ჰონდურასი | 2:0 |
| ბელიზი-სალვადორი | 0:2 |

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| დრ.კონგო-სიერა ლეონე | 2:0 |
| მალავი-ეთიოპია | 3:2 |
| კამერუნი-კოტ დივუარი | 4:1 |
| კონგო-სუდანი | 2:0 |
| კაპო ვერდე-ზამბია | 2:1 |
| ანგოლა-ბურკინა ფასო | 0:3 |
| მოზამბიკი-ნიგერი | 1:1 |
| ტოგო-განა | 2:3 |
| უგანდა-გვინეა | 2:0 |
| ბოსტვანა-სენეგალი | 0:2 |
| ლესოტო-გაბონი | 1:1 |
| ეგვიპტე-ტუნისი | 0:1 |
| ს.აფრიკა-ნიგერია | 0:0 |
| ალჟირი-მალი | 1:0 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ვიჩენცა-ლატინა | 0:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| მონრეალი-ლოს ანჯელესი | 2:2 |
| ნიუ იორკი-დს იუნაიტედი | 1:0 |
| ვანკუვერი-სან ხოსე | 2:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გრემიო-ატლეტიკო(პ) | 1:0 |
| პალმეირასი-კრისიუმა | 1:0 |
| ფიგეირენსე-ფლუმინენსე | 1:1 |
| კურიტიბა-შაპოკოენსე | 3:0 |
| რესიფე-სანტოსი | 3:1 |
| ბოტაფოგო-სან პაულუ | 2:4 |
| ვიტორია-ინტერნასიონალი | 2:0 |
| გოიასი-ფლამენგო | 1:0 |

**კალათბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ბრაზილია | 84:56 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 65 |

# მაია აზარაშვილს რაინდის წოდება მიენიჭა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა მაია აზარაშვილს, მძლეოსნობაში სეულის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს და თასის მფლობელს სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა. მინისტრმა ვეტერან მძლეოსანს მძლეოსნობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა. მაია აზრაშვილი ამჟამად, სპორტი ყველასათვის ფედერაციის პრეზიდენტია და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში აქტიურადაა ჩართული.

მაია აზარაშვილი, დაიბადა თბილისში, 1964 წლის 6 აპრილს. 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (ესტაფეტა) და ფინალური გარბენის მონაწილე (200 მ, მე-7 ადგილი), 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (ფინალურ გარბენში ვერ მოხვდა). სსრკ ჩემპიონი და კეთილი ნების თამაშების მეორე პრიზიორი 200 მ რბენაში (1986), სსრკ თასის მფლობელი (1988). საუკეთესო პირადი შედეგი: 100 მ – 11,08 წმ; 200 მ – 22,24 წმ; ორივე შედეგი ნაჩვენებია 1988 წელს კიევში და დღემდე საქართველოს რეკორდია.

უნივერსიტეტის ქუჩაზე, მაღლივი კორპუსის მახლობლად, დაიწყო ახალი სახელბურთო სასახლის მშენებლობა, სადაც უნდა გაიმართოს 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის სახელბურთო ტურნირები ბიჭებსა და გოგონებს შორის.

თავდაპირველად, ეს შეჯიბრება სპორტკომპლექს „არენაში“ იყო დაგეგმილი, მაგრამ, სპორტის სამინისტროს ინიციატივით, ახალი ნაგებობის აშენება გადაწყდა. კომპლექსში ორი დარბაზი იქნება – ერთი 800 მაყურებელს დაიტევს, ხოლო მეორე – 2.500. ორივე დარბაზი თანამედროვე საფარითა და ყველა საჭირო ინვენტარით იქნება აღჭურვილი, ხოლო, მთავარ არენაზე, თბილისი 2015-ის ფესტივალის შემდეგ ყველა საერთაშორისო შეჯიბრების გამართვა იქნება შესაძლებელი, მათ შორის საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩებისა.

დარბაზის მშენებლობა 2015 წლის გაზაფხულის ბოლოს დასრულდება და ოლიმპიურ ფესტივალამდე იქ საცდელი შეჯიბრებაც გაიმართება. თბილისი 2015-ის თამაშები 25-31 ივლისს გაიმართება. სახელბურთო ტურნირზე ევროპის 8-8 უძლიერესი ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები იასპარეზებს ბიჭებსა და გოგონებს შორის.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციას კიდევ ერთი მატება აქვს. ევროპის ხელბურთის ფედერაციამ, ხელბურთის განვითარების პროგრამით, საქართველოს გრანტის სახით გამოუყო უახლესი მოდელის, ტერაფლექსის მოედნის საფარი, რომელიც უკვე თბილისშია და მალე დაიგება კიდეც.

შინაური სახელბურთო სეზონი კი, 29 სექტემბერს დაიწყება 1998-99 წლებში დაბადებული ბიჭების საქართველოს ჩემპიონატით. წინა სეზონის მსგავსად, ითამაშებს 18 გუნდი. 2014 წლის ბოლომდე გაირკვევა აღმოსავლეთის, დასავლეთისა და თბილისის ლიგების პრიზიორთა ვინაობა, საუკეთესოები კი 2015 წელს საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. გაიმართება ასევე საქართველოს ჩემპიონატი ამავე ასაკის გოგონებში და უმცროსი ასაკის, 2000-01 წლებში დაბადებულთა პირველობა.

ეროვნული ჩემპიონატის კაცთა გუნდებს შორის ოქტომბერში დაიწყება. ოქტომბერშივე მორიგ საკვალიფიკაციო ტურნირს იწყებს ეროვნული ნაკრები. 29 ოქტომბერს სტუმრად ვეთამაშებით, ხოლო 2 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ვმასპინძლობთ ესტონეთის ნაკრებს, აპრილში კი ორჯერ შევხვდებით ლუქსემბურგს. ამ ჯგუფის გამარჯვებული გავა 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის პლეიოფში, ხოლო იქ წარმატების შემთხვევაში კი, ძირითად შესარჩევ ტურნირში, სადაც უკვე ყველა გრანდი ითამაშებს. პლეიოფი 2016 წლის გაზაფხულზეა, ხოლო ძირითადი საკვალიფიკაციო ტურნირი 2016 წლის შემოდგომაზე და 2017 წლის პირველ ნახევარში.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# შესრულდა თუ არა თბილისის ბიუჯეტი?!

შორენა გონგლაძე

დედაქალაქის ექვსი თვის ბიუჯეტის შეჯესრულებლობა ორ დაპირისპირებულ მახარეს შორის კარგა ხანს იქნება საკინკლაო თემა. სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა გუშინ, თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის მიერ გამართული ბრიფინგი. ნაციონალური მოძრაობის წევრის, თამაზ შოშიაშვილის განცხადებით, „ქართული ოცნება“ ამ პრობლემის განხილვას გარკვეული მიზეზების გამო თავს არიდებს.

– ბოლო პერიოდში „ქართული ოცნება“ ცდილობს, თბილისში არსებულ საბიუჯეტო პრობლემებზე პასუხისმგებლობა გადააბრალოს თბილისის წინა მთავრობას და მათ მიერ თანხების არასწორ ხარჯვას. ამავე დროს ისინი თავს არიდებენ იმსჯელონ და კომისიის სხდომაზე განიხილონ თბილისის ბიუჯეტის შესრულების ექვსი თვის ანგარიში, რომელიც თბილისის საკრებულოში 2014 წლის 29 ივლისს იქნა გადმოგზავნილი. ამ უცნაურობის ახსნა მარტივია: როგორც ყოველთვის, „ქართული ოცნების“, დავით ნარმანიას და მთავრობის წევრების განცხადებები კეთდება მოუმზადებლად, ფაქტობრივი გარემოებების უხეში დამახინჯებით და არასწორი ანალიზით. მათი უუნარობის, შეასრულონ მათ მიერვე შედგენილი 2014 წლის ბიუჯეტი, გამართლება წინა მთავრობის მოქმედებებით გაუაზრებელი აბსურდია, რასაც ადასტურებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიც, რომლის განხილვასაც ასე ერიდება „ქართული ოცნების“ უმრავლესობა. კერძოდ, ბიუჯეტის შემოსულობები პირველი 6 თვის განმავლობაში შესრულდა 107.2 %-ით – ანუ ნაცვლად დაგეგმილი 352 202 000 ლარისა, ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 377 734 600 ლარი. ბიუჯეტის გადასახდელები შესრულდა 87.2 %-ით ანუ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 349 585 100 ლარისა, ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 304 768 000 ლარი. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში აღებული ვალდებულებების ჯამური ოდენობა 343 241 500 ლარია, რაც გეგმის 98.2 %-ია. გვინდა გამოვყოთ რამდენიმე პოზიცია, რომელზედაც მუდმივად ისმოდა „ქართული ოცნების“ პრეტენზია თანხების კანონის დარღვევით გადახარჯვის შესახებ. მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლი: გათვალისწინებული 94 228 200 ლარიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 87 939 500 ლარი (93.3 %); ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამა: გათვალისწინებული 14 726 500 ლარიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 13 599 300 ლარი (93.3 %); საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა: გათვალისწინებული 19 936 300 ლარიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 17 090 900 ლარი (85.7 %)“, – განაცხადა შოშიაშვილმა.

მისივე განცხადებით, ნათელია, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა მათ „აიძულებთ“ აღიარონ წინა მთავრობის წარმატებული მუშაობა. – თბილისის მერს და „ქართულ ოცნებას“ არ სურთ თვალი გაუსწორონ რეალობას, აღიარონ წინა მთავრობის მუშაობის დადებითი მხარეები და წარსულთან უშედეგო ბრძოლის ნაცვლად, რეალურად შეუდგნენ იმ დაწყებული საქმეების გაგრძელებას, რასაც თბილისელები უკვე ერთ თვეზე მეტია ამაოდ ელოდებიან, – განაცხადა თამაზ შოშიაშვილმა.

თამაზ შიოშვილის განცხადებებს, თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშია გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, სამწუხაროდ, კვლავ ციფრებზე აპელირებენ და მათი განცხადებები ტყუილია.

ჯაბა სამუშიამ შიოშვილის პრეტენზიების საპასუხოდ, რაიონების გამგეობებისა და მერიის საფინანსო სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები წარადგინა და აღნიშნა, რომ სოციალური ღონისძიებების მუხლით მთლიანად თბილისის რაიონებს 2014 წელს მთელი წლის განმავლობაში 3 მილიონ 650 ათასი ლარი ჰქონდათ გამოყოფილი, რომელიც 7 თვის მანძილზე თითქმის მთლიანად იქნა გახარჯული. ათივე რაიონის გამგებლებს, კი რომლებიც თავიანთი უფლებამოსილების შესრულებას აგვისტოს თვიდან შეუდგნენ, 5 თვის მაძილზე დასახარჯი 330ათასი ლარი დარჩათ.

ჯაბა სამუშიამ კონკრეტულ რაიონებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მაგალითად, საბურთალოს რაიონის გამგებელს 350.000 ლარიდან ამ ეტაპზე დასახარჯი მხოლოდ 50 000 ლარი აქვს დარჩენილი.

ჯაბა სამუშია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ ბიუჯეტში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იგივე მდგომარეობაა.

– სწორედ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკრებულოში დღეს ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს, განაცხადა სამუშიამ.

მისივე განცხადებით, ცვლილებები სოციალური დახმარების მიმართულებით, როგორც რაიონების, ასევე თბილისის საკრებულოს შესაბამისი სამსახურის ხარჯვითი ნაწილის, დაახლოებით 8 მილიონი ლარით გაზრდასაც ითვალისწინებს. სამუშიას თქმით, 5 მილიონ 600 ათასით იზრდება ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობების მუხლიც, რადგან ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტია განსახორციელებელი. მისივე თქმით, რეალობა სხვაა და ციფრები სხვა.

# კულტურის სამინისტროში პროექტების მიღების წესი გამარტივდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პროექტების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი გამარტივდა და მოწესრიგდა. ამ თემასთან დაკავშირებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა და დაინტერესებული საზოგადოება საქმის კურსში ჩააყენა.

– ცვლილებების თანახმად, გაიწერა პროექტების დაფინანსების ვადები და პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდა. პროექტის განაცხადი დაფინანსების მოპოვებამდე რამდენიმე ეტაპს გადის, რომელიც ღიაა პროექტის ავტორებისათვის. დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება 30 სამუშაო დღის ვადაში იქნება მიღებული და დაუყოვნებლივ ეცნობება პროექტის ავტორს. პროექტების განხილვა და გადაწყვეტილების მისაღებად მომზადება ხდება დარგობრივ დეპარტამენტში, რიგითობის დაცვით, რაც გამორიცხავს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ შემოსული პროექტების თვითნებურად შერჩევას. ასევე, აუცილებლობას აღარ წარმოადგენს დამატებითი დოკუმენტაციის, ხელშეკრულებები თანადამფინანსებელ ორგანიზაციებთან, ინვოისები და ა.შ., წარდგენა საწყის ეტაპზე, სანამ პროექტის ავტორები არ მიიღებენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დადებით პასუხს დაფინანსების შესახებ. გამარტივდა აპლიკაციის შევსების ფორმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვისაც, – განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პროექტების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ახალი წესი გასულ კვირას დამტკიცდა.

# ბათუმი საავტორო ფილმების ფესტივალს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

14 სექტემბრიდან ბათუმი საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალს – ბიაფს მეცხრედ უმასპინძლებს. კინოჩვენებები ზღვისპირა ქალაქში კინოთეატრში „აპოლო“ და ღია ცის ქვეშ სასტუმროში „დივანი“ ჩატარდება. სოციალურ ქსელში უკვე დაიწყო ფოტოკონკურსი სახელწოდებით მე მივდივარ ბიაფზე, რომელიც ამ უქმეებზე რეალობად იქცევა. ერთი კვირის განმავლობაში კინოს მოყვარულებს საშუალება ექნებათ საავტორო კინოს სიახლეებს გაეცნონ და ახალი ფილმებიც იხილონ. საავტორო კინოს ფესტივალი ფარაჯანოვის ფილმით გაიხსნება. ფესტივალზე სერგო ფარაჯანოვის საიუბილეო საღამოც გაიმართება. კინოფესტივალზე მოწვეული რეჟისორები კი მასტერკლასებს ჩაატარებენ. ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალმა კონკურსი ბლოგერებისთვისაც გამოაცხადა, რომელიც უკვე 4 წელია ტრადიციულად ტარდება. გამარჯვებული ბლოგერი ფესტივალის ორგანიზატორებისგან სამახსოვრო საჩუქრებს მიიღებს.

წლევანდელი საკონკურსო პროგრამისთვის სხვადასხვა საკონკურსო სექციისთვის მიღებულ იქნა ფილმები 50 ქვეყნიდან, საერთაშორისო კონკურსში მხატვრული ფილმები 140 ფილმი, საიდანაც შეირჩა 10 ფილმი, საერთაშორისო კონკურსში დოკუმენტური ფილმები 165 ფილმი, საიდანაც შეირჩა 9 ფილმი, საერთაშორისო კონკურსში მოკლემეტრაჟიანი ფილმები 1555 ფილმი, საიდანაც შეირჩა 25 ფილმი. ფესტივალზე კინოჩვენებები რამდენიმე სექციად მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოსა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციად არის დაყოფილი. კინოფესტივალზე არასაკონკურსო სექციაში ექვსი ფილმი იქნება ნაჩვენები. მაყურებელს საშუალება ექნება იხილოს თანამედროვე ფრანგი, იტალიელი, დიდი ბრიტანელი, ბელგიელი, ირლანდიელი და თურქი რეჟისორების ნამუშევრები. ბათუმში ნაჩვენები იქნება ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექცია. სულ 14 ფილმი.

– ტრადიციული კინოჩვენების გარდა გავაგრძელებთ ღია კინოჩვენებებს ერას მოედანზე, რაც შარშან დავიწყეთ. ასევე ვაგრძელებთ ინდუსტრიულ პლატფორმას, ანუ შეხვედრებს ქართველ კორპროდიუსერებსა და ფონდებს შორის. გვექნება დამატებითი ივენთი ბათუმის კინოფესტივალის ფარგლებში ბიაფის კინოსკოლა. ეს იქნება ორდღიანი ვორქშოფი. ასევე გვექნება ორი საიუბილეო ივენთი. ერთი იქნება ფარაჯანოვისადმი მიძღვნილი. რამდენიმე ფილმს ვაჩვენებთ, ასევე ჩავატარებთ სემინარს, რომელსაც უცხოელი და ქართველი რეჟისორები დაესწრებიან. მეორე საღამო იქნება თენგიზ აბულაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი, რომლის ფარგლებში ვაჩვენებთ ორ ფილმს „ვედრება“ და „მონანიება“, – განუცხადა ადგილობრივ ჟურნალისტებს ფესტივალის მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა.

კინოფესტივალზე ყველა სექციას თავისი ჟიური ეყოლება. მხატვრული კინოს საერთაშორისო კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში უკრაინელი, ამერიკელი, ბელორუსი, სომეხი და ქართველი ჟიურის წევრები იქნებიან. დოკუმენტური კინოს საერთაშორისო კონკურსის ჟიურის შემადგენლობა აზერბაიჯანელი, სერბი, პოლონელი და ქართველი წევრებითაა დაკომპლექტებული. ასევე ინტერნაციონალური იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსის ჟიურის შემადგენლობაც. კინოფესტივალის პრიზია ცხენთევზის სტატუეტი. გათვალისწინებულია პრიზების შემდეგი კატეგორიები: მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსი, სადაც ფილმებს აფასებს ხუთკაციანი საერთაშორისო ჟიური, გრან პრი, საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო მამაკაცის როლის შემსრულებელი, საუკეთესო ქალის როლის შემსრულებელი და ჟიურის სპეციალური პრიზი. დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსი, ფილმებს აქაც აფასებს ხუთკაციანი საერთაშორისო ჟიური, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი და ჟიურის სპეციალური პრიზი. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსი, ფილმებს აფასებს ხუთკაციანი საერთაშორისო ჟიური, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი და ჟიურის სპეციალური პრიზი. ასევე გაიცემა კინოფესტივალის ყოველწლიური პრიზი მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისათვის ქართველი და უცხოელი კინომოღვაწესთვის.

– ჩვენი მიზანია უახლოეს მომავალში გავხდეთ მთავარი საერთაშორისო კინოფესტივალი საქართველოში და გრძელვადიან პერსპექტივაში კი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კინოფესტივალი შავი ზღვის რეგიონში, რომლის ინტერესის ძირითადი სფერო საავტორო და დამოუკიდებელი კინოა. ბიაფის მისიაა იყოს საერთაშორისო კულტურული ღონისძიება, რომელიც მიმართულია კულტურული ინტეგრაციის და თანამშრომლობისაკენ ქართული და უცხოური საავტორო და არაკომერციული ფილმების კინოჩვენების ორგანიზების მეშვეობით. ფესტივალი საშუალებას აძლევს ცნობილ კინორეჟისორებს, პროდიუსერებსა და კინოკრიტიკოსებს შეხვდნენ და გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და ნამუშევრები კინოს სფეროში მოღვაწე კოლეგებს. ფესტივალი არის ასევე კარგი შესაძლებლობა ადგილობრივი კინომოყვარულებისთვის გაეცნონ კინოინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებს და ნახონ ახალი ფილმები. ბიაფი ასევე უზრუნველყოფს კინემატოგრაფებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას სხვადასხვა სემინარების და ვორქშოფების მეშვეობით, – განმარტავს ფესტივალის მენეჯერი.

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი 2006 წელს დაარსდა. კინოფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორია ბათუმის ხელოვნების სახლი „არგანი“, მისი მიზანია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზებით თანამედროვე ხელოვნების და კულტურის პოპულარიზაცია, ადგილობრივი, და არა მარტო, ახალგაზრდა ხელოვანების ქართველ და უცხოელ კინორეჟისორებთან, პროდიუსერებთან, მსახიობებთან ურთიერთობების ხელშეწყობა. ბათუმის ხელოვანთა სახლი „არგანის“ მთავარი პროექტი ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო კინოფესტივალია. კინოფესტივალი ყოველწლიურია და მისი მთავარი ფოკუსია არტ-ჰაუზის კინორეჟისორების ახალი არტ-ჰაუზის, არაკომერციული ფილმების და რეტროსპექტივების ჩვენება.

წელს ფესტივალზე საკონკურსო სექციის ფილმებს შეაფასებს საერთაშორისო ჟიური. მხატვრული კინოს საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრები არიან რომან ბალაიანი (უკრაინა) (თავმჯდომარე), ალისა სიმონ (აშშ), პაველ ივანოვ (ბელორუსია), მიქაელ სტამბოლიანი (სომხეთი), ზაზა ურუშაძე (საქართველო). დოკუმენტური კინოს საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრები არიან ოდრიუს სტონისი ლიტვა (თავმჯდომარე), ულვი მეჰტი (მამედოვ) (აზერბაიჯანი), მიროლუბ ვუჩკოვიჩ (სერბეთი), პაველ ლოზინსკი (პოლონეთი), ანა ძიაპშიპა (საქართველო). მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეა ქართველი რეჟისორი მიხეილ კობახიძე, მირა სტალევა (ბულგარეთი), ეკატერინა ჩერქეზ ზადე (რუსეთი), ენდრიუ ვიალ (ავსტრალია), ლატავრა დულარიძე (საქართველო). ბათუმის კინოფესტივალის პროგრამაში ნაჩვენები იქნება 40-მდე სრულმეტრაჟიანი და 40-მდე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლებიც სხვადასხვა საკონკრუსო და არასაკონკურსო სექციაში არიან გადანაწილებული.

ფესტივალს გახსნის სერგო ფარაჯანოვის ფილმი „ამბავი სურამის ციხისა“, რომელსაც ჩაენაცვლება საერთაშორისო კონკურსი მხატვრული ფილმების სექციაში: „პატარძლები“ თინათინ ყაჯრიშვილი, (საფრანგეთი-საქართველო), „მიჰყევი ჩემს ხმას“ ჰუსეინ კარაბეი (თურქეთი/გერმანია/საფრანგეთი); „გამოსასწორებელი კლასი“ ივან ი. ტვერდოვსკი (რუსეთი, გერმანია); „განკურნება“ (სხვისი ცხოვრება) ანდრეა სტაკა (შვეიცარია/ხორვატია/ბოსნია-ჰერცოგოვინა); „მოწყვეტილი ვარსკვლავი“ ლუის მინიარო (ესპანეთი); „ძაღლების ველი“ ლეხ მაევსკი (პოლონეთი, შვეიცარია, იტალია); „ფრენკი“ ლენი აბრაჰამსონი (ირლანდია,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ჯოსვოხდი ბ



**შვეულად:** 1. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი; 2. დანაშაულის განმეორებითი ჩადენა; 3. ძვირფასი სარეწაო თევზი; 5. ფინური ხალხური ეპოსი; 7. ზარმაცი, მუქთახორა ადამიანი; 9. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 13. ზებუნებრივი ძალების რწმენა, იდუმალი რამ; 15. ანტიფაშისტური ფერწერული ტილო „გერნიკას“ მხატვარი; 16. თაღლითი ბანქოს თამაშში; 18. მდინარე ვოლგას არაბული სახელწოდება.

**თარაზულად:** 4. სამონასტრო კომპლექსი რაჭაში; 6. მიწის სათხრელი მანქანა; 8. საზოგადოების განვითარებისა და მატერიალური კულტურის დონე; 10. ორადგილიანი ველოსიპედი; 11. ჭადრაკის ფიგურა; 12. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 14. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 17. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 19. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 20. მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 21. ზღვის წყალმცენარეებისგან მიღებული ქიმიური ელემენტი; 22. შემაგრებული ღვინო; 23. სასაუზმე იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ეფრემვერდი; 2. ინკები; 3. ჰურიები; 4. თლაშო; 5. პიტიუნტი; 6. მურეი; 7. ვანდომი; 9. სინხუა; 13. დიჯეი; 17. სონი; 18. სნო.

**თარაზულად:** 1. ეპარქია; 3. ჰერეთი; 8. ძირულა; 10. ჩერჩილი; 11. ამანი; 12. კორპუსი; 14. სეგუნი; 15. ქსილიტი; 16. ტესტი; 19. ავერსი; 20. ვიოლინო; 21. რწყილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ალფონსი; 2. პირამიდა; 3. ხინკალი; 5. კოსინუსი; 7. კნესეტი; 9. პოროშენკო; 13. ლონდონი; 15. მთიელი; 16. სეგუნი; 18. მძიმე.

**თარაზულად:** 4. კლინკერი; 6. ეპიტაფია; 8. კონოსამენტი; 10. მესხეთი; 11. რალი; 12. უტოპია; 14. იმედი; 17. კენზო; 19. ხირსა; 20. რუმინეთი; 21. ოქრო; 22. დირექტივა; 23. ვენგერი.

# ქეთი მელუა თბილისშია

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მომღერალი ქეთი მელუა თბილისშია. მან უკვე გამართა შეხვედრა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან მიხეილ გიორგაძესთან და მის მოადგილესთან კახა კანდელაკთან. შეხვედრაზე მხარეებმა განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო ვარძიის გადარჩენის პროექტსაც. როგორც ცნობილია, ქეთი მელუა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის – ვარძიის ფრესკების გადარჩენის პროექტის აქტიური მხარდამჭერია.

მინისტრის თქმით, მსგავს მასშტაბურ პროექტებში ხელოვანი ადამიანების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია:

„დღევანდელი შეხვედრა მეგობრულ ხასიათს ატარებდა, დიდი სიამოვნებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ რამდენიმე ერთობლივი პროექტი გვაქვს განხორციელებული საქართველოში. ცხადია, არ შეიძლებოდა, რომ ვარძიის კომპლექსის რეაბილიტაციაზე არ ყოფილიყო საუბარი. თქვენ იცით, რომ ის ძალიან აქტიურად არის ჩართული, გულშემატკივრობს და კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით. სულ ახლახან, რამდენიმე დღის წინ ვარძიის გადარჩენისათვის სარეაბილიტაციო ფონდიდან დამატებითი სახსრები გამოიყო, პრემიერის ინიციატივა იყო მიმართული იმისკენ, რომ სასწრაფოდ ჩატარებულიყო პირველადი სამუშაოები, კონკრეტულად ქვათაცვენის შესაჩერებლად, ცხადია, ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ.“

# ხელოვნების სასახლეში ოთარ კობერიძის ანაბეჭდი გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ხელოვნების სასახლის უკვდავთა თაღში ქართული კინოვარსკვლავის ოთარ კობერიძის ხელის ანაბეჭდი გაიხსნა. საზეიმო ცერემონიისთვის ხელოვნების სასახლეში მთელი დღის განმავლობაში ემზადებოდნენ. წითელ ხალიჩაზე დათქმულ დროს საპატიო სტუმრებმა გაიარეს და ანაბეჭდის გახსნაც საზეიმო ვითარებაში შედგა.

ხელოვნების სასახლეში დაგეგმილი ეს ღონისძიება ოთარ კობერიძის 90 წლის იუბილეს მიეძღვნა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ოთარ კობერიძე ანაბეჭდის გახსნას არ დასწრებია, მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა და ოჯახის წევრებმა ეს ღონისძიება მისთვის ჩაატარეს. მსახიობის ანაბეჭდი მისმა შვილმა ნანა კობერიძემ გახსნა. საზეიმო ღონისძიება საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის უკვდავთა თაღში შედგა, სადაც უკვე გახსნილია ოთარ მელვინეთუხუცესის, ელდარ შენგელაიას, კახი კავსაძის, გივი ბერიკაშვილის, რეზო ჩხეიძისა და პაატა ბურჭულაძის ხელის ანაბეჭდები.

– მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა ოთარმა ვერ მოახერხა აქ მოსვლა, ეს არის უკვდავის სახელი და ამ უკვდავთა თაღში მისმა მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა გახსნეს მისი ანაბეჭდი. დარწმუნებული ვარ, რომ ფიზიკურად არყოფნის მიუხედავად, ის სულიერად და მორალურადაც ჩვენთან იყო, – განაცხადა ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ.

ანაბეჭდების საზეიმო გახსნის შემდეგ, შეკრებილმა საზოგადოებამ ხელოვნების სასახლეში გადაინაცვლა, სადაც საგანგებოდ ამ დღისთვის მოწყობილი გამოფენა და წიგნის „ლია ელიავა“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებული თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებით გამოვიდა. ის ქართული კინოს ვარსკვლავის, პოპულარული კინომსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, ლია ელიავას ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. პროექტის ავტორები არიან ოთარ კობერიძისა და ლია ელიავას შვილი ნანა კობერიძე და ანა მანჯგალაძე. წიგნის შემდგენელი და რედაქტორია კინომცოდნე მარინა კერესელიძე, მხატვრული გაფორმების კონცეფციის ავტორი მხატვარი ვახტანგ რურუა. წიგნი განკუთვნილია კინოხელოვნებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის. მასში შევიდა თვით ლია ელიავას მოგონებები ცხოვრებასა და კინოხელოვნებაში განვლილ გზაზე. მსახიობს იგონებენ მისი პედაგოგები, კოლეგები და მეგობრები – რეჟისორები აკაკი დვალიშვილი და ლილი იოსელიანი, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, კინორეჟისორები ლანა ღოღობერიძე, ნანა ჯანელიძე, მარინა წურწუმია, ჟურნალისტები სანდრო მამასახლისი და ლია წილოსანი, კომპოზიტორი გია ყანჩელი, მხატვრები მერაბ ბერძენიშვილი და ზურაბ ნიჟარაძე. ტექსტი გაცოცხლებულია მდიდარი ფოტომასალით, კადრებით ფილმებიდან, ლია ელიავას სხვადასხვა დროის პორტრეტებით, ფოტოებით ოჯახის არქივიდან, სამუშაო მომენტების, მრავალრიცხოვანი შეხვედრებისა და მოგზაურობის ამსახველი ფოტოსურათებით. წიგნი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ დასტამბა.

– ეს არ არის უბრალოდ წიგნი, ეს არის ლია ელიავას ცხოვრების ერთგვარი პატარა ექსკურსი თავისი საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბებითა თუ ისტორიებით, – განაცხადა მსახიობების შვილმა და წიგნის ავტორმა ნანა კობერიძემ.

ქართული კინოს მოყვარულებისთვის ცნობილია, რომ ფილმი „ბაში აჩუკი“ ოთარ კობერიძისა და ლია ელიავასთვის ახალი ცხოვრების დასაწყისი აღმოჩნდა. სწორედ ამ ფილმის გადაღებების დროს შეუყვარდათ მათ ერთმანეთი. ლია ელიავას და ოთარ კობერიძის სიყვარულს ამ წიგნში გამორჩეული ადგილი უკავია.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი 86-ე სეზონს ხსნის

ეკა ირემაშვილი

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი რიგით 86-ე თეატრალურ სეზონს ხსნის. სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაც დაგეგმა და ჟურნალისტებთან ახალ თეატრალურ სეზონზე დაგეგმილ სიახლეებზე ისაუბრა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი ახალ სეზონს იწყებს სპექტაკლით „მე ვხედავ მზეს“, რომელიც დიმიტრი ხვთისიაშვილმა დადგა. 16 სექტემბერს კი თეატრი გასტროლზე მიემგზავრება. დათა თავაძის „ზამთრის ზღაპრის“ შემოქმედებითი ჯგუფი მიწვეულია ბელორუსიის ქალაქ ბრესტის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ბელაია ვეჟა“. 8 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში შედგება მანანა ბერიკაშვილის სპექტაკლის „ჩვენ გველის დიდება“ პრემიერა. ამავე ფესტივალის ფარგლებში გათამაშდება 3 ოქტომბერს ლევან წულაძის „რომეო და ჯულიეტა“, ხოლო 4 ოქტომბერს გურამ ბრეგაძის „სამეფო ძროხა“ რუსულ ენაზე. 28 სექტემბერს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი ლიტვის თეატრს უმასპინძლებს, ხოლო 6 ოქტომბერს ქუთაისის თეატრს. რაც შეეხება თეატრალურ პროექტებს, მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგმება სპექტაკლები „ჩვენ გველის დიდება“ რეჟისორი მანანა ბერიაშვილი; „ხუთკუნჭულა“ რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი; „წითელქუდა“ რეჟისორი ოთარ ბაღათურია; „1945“ რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი; „რეკვიემი“ რეჟისორი ლილი ბურბუთაშვილი; „მაუგლი“ რეჟისორი გიზო ჟორდანია.

## სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის ტურიზმის აკადემიის კოლექტივი თანაუგრძნობს აკადემიის სამეურნეო სამსახურის უფროსს შოთა თოიძეს ძმისშვილის

**ცირა თოიძის**

გარდაცვალების გამო.

**ბათო კორძაიას ცრემლიანი მონატრება**

შოკისმომგვრელი და მოულოდნელი იყო შენი უეცარი გარდაცვალება.

კარგი ოჯახის კარგი მეუღლე და ხელმძღვანელი, შვილების საყვარელი მამა, ლამაზი შვილიშვილების საფიცარი ბაბუა, დედმამიშვილების სათაყვანებელი ძმა, ნათესავებში, მეგობრებსა და მეზობლებში დაფასებული პიროვნება, ყველას ლხინსა და ჭირში გვერდით მდგომი, ამაყი სვანეთის ღირსეული წარმომადგენელი – ასეთი იყო შენი ამქვეყნიური მოკლე დახასიათება.

ბათო! 13 სექტემბერს ცრემლსა და ლოცვაში გავლილი 40 დღე ხდება. შენს საფლავს არასდროს მოაკლდება მოფერება და ცოცხალი ყვავილები.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს და იქ დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

*ავთანდილ ჩხაიძის ოჯახი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბათუმი საავტორო ფილმების ფესტივალს უმასპინძლებს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

დიდი ბრიტანეთი); „თავისუფალი ვარდნა“ გიორგი პალფი (უნგრეთი, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა); „ლანჩ ბოქსი“ რიტეშ ბატრა (ინდოეთი/საფრანგეთი/გერმანია/აშშ); „ხელნაწერები არ იწვიან“ მოჰამად რასულოვი (ირანი).

საერთაშორისო კონკურსში დოკუმენტური ფილმების სექცია წარმოდგენილი იქნება ფილმები „20,000 დღე დედამიწაზე“ იან ფორსაიტი, ჯეინ პოლარდი (დიდი ბრიტანეთი); „ყველაფერი შესაძლებელია“ ლიდია დუდა (პოლონეთი); „ყვავილები ზეთისხილის მთიდან“ ჰეილიკა პიკოვი (ესტონეთი); „მსოფლიო მშვიდობის ცეკვა“ გია დიასამიძე (საქართველო); „მე ვარ მე“ კორინ ვან ეგერაატი, პეტრ ლომი (ჰოლანდია, ეგვიპტე); „ერთიანი სტამბული“ ოლი ვალჰდაუერი, ფარიდ ესლამი (გერმანია/ჩეხეთის რესპუბლიკა/თურქეთი/შვეიცარია); „მაიდანი“ სერგეი ლოზნიცა (უკრაინა/ჰოლანდია); „აგვისტოს მოლოდინში“ თეოდორა ანა მიჰაი (ბელგია).

საერთაშორისო კონკურსში მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექცია შეირჩა ფილმები „უხილავი სივრცეები“ დეა კულუმბეგაშვილი (საქართველო); „ნიკო“ გიორგი ქავთარაძე (საქართველო); „წითელი კაბა“ სალომე საღარაძე (საქართველო); „მერე იტყვიან: ხომ გეუბნებოდით, გიჟიაო“ ამირან დოლიძე (საქართველო); „იყო ერთი კაცი“ გიორგი ვარსიმაშვილი (საქართველო); „აღრენალინი“ დავიდ ბაგარიჩი (ხორვატია); „აისა“ კლემან ტრეინ-ლალანი (საფრანგეთი); „ბალანსი“ რუი ფალკანო (პორტუგალია); „ზეთის ლამფა“ ჰუ ვეი (საფრანგეთი/ჩინეთი); „დიალოგები“ დიანა კარდუმიანი (სომხეთი); „დისციპლინა“ ქრისტოფ მ. საბერი (შვეიცარია); „სახეები“ ნიკონ რომანჩენკო (უკრაინა); „ფოთოლცვენა“ მაშა კონდაკოვა (უკრაინა); „ინდური ზაფხული“ ტატიანა დუბიცკაია (ბელორუსია); „ირანელი ნინძა“ მარჯან რიაჰი (ირანი); „მარჯი“ დომენიკო მოდაფერი (იტალია); „მონა“ ალექსის ბარბოსა (საფრანგეთი); „პულსი“ რუთ პაქსტონი (დიდი ბრიტანეთი); „ფოლეი“ არტისტების საიდუმლო სამყარო, დანიელ ჯეველი (დიდი ბრიტანეთი); „მარტოობა“ საულ კანტერო (მექსიკა); „სვინგი“ ნაზან ქესალი (თურქეთი); „უკანასკნელი“ სერგეი პიკალოვი (აზერბაიჯანი); „ხელის სიცოცხლე“ იშტვან ბორსოდი, სანდორ კისი (უნგრეთი); „კაცი, რომელმაც პრინცესა გადაარჩინა“ მარისა ვიანი სერანო (მექსიკა); „ნემსი და ძაფი“ სელინ გუნგორი (თურქეთი).

სექციაში ქართული პანორამა მონაწილეობენ ფილმები „შემთხვევითი პაემნები“ ლევან კოღუაშვილი (საქართველო), „ეშმაკის ბორბალი“ უტა ბერია (საქართველო), „მე პატარა ქართველი ვარ“ ლევან ადამია (საქართველო), „კარასტანში დაკარგული“ ბენ ჰოპკინსი (საქართველო/დიდი ბრიტანეთი/გერმანია/რუსეთი), „ჩემი ქალთევზა ჩემი ლორელაი“ ნანა ჯორჯაძე (უკრაინა/რუსეთი), „სხვა ქალაქი“ ზურაბ ინაშვილი (საქართველო).

სექციაში ოსტატთა კოლექცია წარმოდგენილი იქნება „მშვიდობით ენავ“ ჟან-ლიუკგოდარი (საფრანგეთი), „უცნაურია, გერქვას ფედერიკო“ ეტორე სკოლა (იტალია), „ჯიმის დარბაზი“ კენ ლოუჩი (დიდი ბრიტანეთი/ირლანდია/საფრანგეთი), „მისტერ ტერნერი“ მაიკლ (დიდი ბრიტანეთი), „ორი დღე და ერთი ღამე“ ჟან-პიერ დარდენი, ლიუკ დარდენი (ბელგია/საფრანგეთი/იტალია), „ზამთრის ძილი“ ნური ბილგეჯეილანი (თურქეთი/საფრანგეთი/გერმანია).

სექციაში რეტროსპექტივა წლევანდელ ფესტივალში ჩაერთო სერგო ფარაჯანოვის ფილმები „აშუღ-ყარიბი“ და „ამბავი სურამის ციხისა“, თენგიზ აბულაძის „მონანიება“ და „ვედრება“.

ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება კანის კრიტიკოსთა კვირეულის სექციის ფილმების კოლექციაც სანდრინ ბონერის „შეშლილი მის გარეშე“, კატელ კიევერეს „სიუზანი“, ნადავ ლაპიდის „ბაღის მასწავლებელი“ და ალეხანდრო ფადელის „ველურები“.

ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექციაში გაერთიანდა ფილმები „მოდლინების ისტორია“ სერხიო ოკსმანი, „ზეთის ლამფა“, ჰუ ვეი, „ჭრილობა“ კრისტოფ ჟირარდე და მატიას მიულერი, „აჩრდილის სიკვდილი“ ტომ ფონ აფერმატი, „სახლები პატარა ფანჯრებით“ ბულენტ უზთურქი, „ნახტომი“ პეტარ ვალჩანოვი, კრისტინა გროზევა, „დილა“ ქეით ბრეიდი, „მისტერია“ ჩემა გარსია იბარა, „ატომური ნარჩენები“ მიროსლავ სლაბოშპიტსკი, „ორბიტაზე სამუდამოდ“ ჯეიმი სტოუნი, „კვირა დღე“ იოჰენ კუნი, „ტალღები“ მიგელ ფონსეკა, „მდინარე დამშრალი მეგონა“ ომარ რობერტ ჰამილტონი, „ზამთარი“ კრისტინა პიჩი.

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 21 სექტემბერს დაიხურება და გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გამოავლენს.

## TV პროგრამა

პარასკევი
12 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" – **09.30** ან/ფ "ცხოველთა სამყარო" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**ბაგდა ეჰი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ბაკბილი, მწარე ცხოვრება**" **14.00** "შემოძახილი" **14.30** დ/ფ "**20**-იანი წლების ექსპერიმენტული ფოტოგრაფია" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.00** **ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი: **ზესტაფონი – სამგრედია** (პ/ტრ) შესვენებისას: "მოამბე" **22.00** მხ/ფ "**ბრიჯიტ ჯონსის დღიური**" (რ.ზელვეგერი) **23.50** "უცნობი მუსიკა" **01.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** დ/ფ "ახალგაზრდული სული" **11.00** დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **12.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **14.00, 16.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" I - II ნაწ. **19.00** დ/ფ "ბერლინი **1885** წელი-იერიში აფრიკაზე" I ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** მხ/ფ "**სხვა სამყარო**" (მ.დეიმონი)

**08.00** სერ. "**შურისმაძიებლი**". **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბედის ანაბარა**". **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. "**სილა**". **14.40** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გასხოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქი — 2**" **00.00, 01.00** სერ. "**20 წუთი**" **02.00** მხ/ფ "**პროფესიონალი მკვლელი**" (ჯ.სტეტჰემი)

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ქერის უბანი დაწყება **22.30** ვანოს შოუ - დაწყება **00.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** მუსიკა **09.00, 17.00** **სერიალი** "**ლენა**" **10.00, 18.00** მენტალისტი **11.00, 15.00, 22.00, 00.35** მხ/ფ **12.30, 19.30** URBAN STORIES **13.00, 21.00** ინტერესის ობიექტი **14.00** სტილის სამყარო **16.45** მინიპედია **19.00** პოპკორნი **20.00** დ/ფ **23.45** დროის მანქანა **02.00** მუსიკა

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მხ/ფ "**ელენე, ბრუნს დეპოფალი**" II ნაწ. **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "დრო და ტრადიციები" **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ "**ნისლა**" **13.30** კონცერტი - "ისევ ის ბაღი" შოთა მილორავა **15.05** სალბუნი **15.25** მხ/ფ "**დიდი ქალაქის ჩირაღდნები**" **16.25** დეკორატიული ფლორა **16.40** დიდ ხარ შენ, უფალო **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ "**ხვეულული ბალადა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გურული ფირალები" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**რომაული არდადეგები**"

**მაესტრო**

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20** ფარული კამერა **8.40** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **10.05, 11.05** **სერიალი** "**სიყვარული და ღირსება**" **12.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **13.05, 14.05** **სერიალი** "**ასი**" **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი** "**1001 ღამე**" **18.40, 19.05, 20.07** **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**" **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.00** **სერიალი** "**დიდებული საუკუნე**"(I სეზონი) **0.10** SV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **0.30** ბრძოლა წესების გარეშე **1.20, 2.10** **მინისერიალი** "**დაცემული**" სერ.**1** ნაწ.**1**, სერ.**1** ნაწ.**2**

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**12 სექტემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1.7422 |
| ევრო | — 2.256 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2.8095 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.6872 |

## ამინდის პროგნოზი 12 სექტემბრისთვის

## კალეიდოსკოპი

### კიმ კარდაშიანი „ყინულის“ ფლეშმობში ჩაერთო

ამერიკელმა ფოტომოდელმა კიმ კარდაშიანმა მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო აქციაში. ვარსკვლავს ცივი წყალი „ელენ დეჯენერსის შოუს“ წამყვანმა პირდაპირი ეთერის დროს გადაასხა. როდესაც წამყვანი კარდაშიანის თავზე ცივი წყლით სავსე სათლს აპირქვავებდა, ვარსკვლავი სელფს იღებდა და კიოდა.

არ არის ცნობილი, თუ ვინ გადასცა ცივი წყლის თავზე გადასხმის ესტაფეტა კარდაშიანს და ასევე უცნობია, თუ თავის მხრივ მან ვის გადაულოცა ესტაფეტა.

ინტერვიუს დროს ფოტომოდელმა განაცხადა, რომ მეორე ბავშვის გაჩენა სურს. ასევე მან აღნიშნა, რომ არ იქნება წინააღმდეგი, თუ ის ოთხი შვილის დედა გახდება, თუმცა მეტის ყოლას არ აპირებს.

კიმ კარდაშიანი სელფების გადაღების სიყვარულითაა ცნობილი. ტაილანდში დასვენების დროს მან 1,2 ათასამდე სელფი გადაიღო. მიმდინარე წლის აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ ფოტომოდელი საკუთარი სელფების კრებულის ალბომის გამოშვებას აპირებს. 352-გვერდიანი ალბომის გარეკანზე ეროტიკულ მდგომარეობაში მყოფი კარდაშიანია გამოსახული. ალბომი გაყიდვაში 2015 წელს გამოვა და ის 19,95 დოლარი ეღირება.

### სპილომ ცნობილი ვეტერინარი გასრისა

ამერიკის ორეგონის შტატში ცნობილი ვეტერინარი, რომელმაც „ხანდაზმული ცირკის სპილოების სახლი“ დააარსა, მოკლული იპოვეს. წინასწარი ვერსიით, ის ერთ-ერთმა „ხანდაზმულმა“ სპილომ გასრისა.

56 წლის ჯეიმს ლაურიტი ანგარში ორ სპილოსთან, როზისა და ოპალთან ერთად ნახეს.

გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ სპილოები არ იყვნენ აგრესიულები. მედიცინის ექსპერტების ვარაუდით, ვეტერინარი დაეცა და ამ დროს ის სპილოებმა უბრალოდ ვერ შენიშნეს.

### ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი დუბაიში იქნება

– მსოფლიოში ყველაზე დიდ სავაჭრო ცენტრი დუბაიში აშენდება. მისი მშენებლობა 2015 წლის პირველ კვარტალში დაიწყება, – აცხადებს საინვესტიციო კომპანია „დუბაი ჰოლდინგი“. სავაჭრო ცენტრს, სავარაუდოდ, დი მეილ ოფ დი ვორლდი ერქმევა. ახალი სავაჭრო ცენტრის საერთო ფართი 4,5 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება. პროექტის ღირებულება 6,8 მილიარდ დოლარს შეადგენს. მისი დამპროექტებლები ვარაუდობენ, რომ ყოველწლიურად ახალ სავაჭრო ცენტრს 180 მილიონი ადამიანი მოინახულებს. მის ტერიტორიაზე უშუალოდ მაღაზიების გარდა განთავსებული იქნება სასტუმროები 20 ათასი ნომრით, სამედიცინო დაწესებულებები, თეატრი, ცირკი, პარკი, ოჯახური გასართობი ცენტრი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ნინო მაჩაიძე პლასიდო დომინგოსთან იმღერებს

**ეკა ირემაშვილი**

ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი ნინო მაჩაიძე გრანდიოზული პრემიერისთვის ემზადება. 13 სექტემბერს ის ვიოლეტას პარტიას შეასრულებს ჯუზეპე ვერდის „ტრავიატაში“. სოპრანო ქართველ ანჯელინა ჯოლიდ არის შერაცხული და მის საოცარ საოპერო ხმას არნახული სილამაზეც ემატება.

ნინო მაჩაიძე „ტრავიატას“ პლასიდო დომინგოსთან და მექსიკელ ტენორთან არტურო ჩაკონ კრუზთან ერთად იმღერებს. ვიოლეტას პარტია მსოფლიოს ცნობილ საოპერო მომღერლებს აქვთ შესრულებული და ის სოპრანოებისთვის ერთ-ერთი საოცნებო არიაა. ვიოლეტას პარტია ნამღერი აქვს მარია კალასს, რომელიც საოპერო ხელოვნებაში დედოფლად არის მიჩნეული.

ნინო მაჩაიძე წლებია უცხოეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ამჟამად ის იტალიაშია. მისი მეუღლე უცხოელია, ისიც საოპერო ხელოვნებაშია ჩართული და მეუღლესთან ერთად საყვარელ საქმეს ემსახურება. იტალიელი ბარიტონი გუიდო ლოკონსოლო ნინო მაჩაიძის რჩეულია. ქართველი სოპრანო გამოკითხვით მსოფლიოში ყველაზე ლამაზ საოპერო მომღერალ ქალთა ათეულში პირველ ადგილზე დასახელდა. მასთან ერთად ამ ათეულში მეორე ქართველი ნინო სურგულაძე მოხვდა.

ნინო მაჩაიძის განრიგი უკვე წინასწარ გაწერილია. მისი გასტროლები თუ საკონცერტო გამოსვლები რამდენიმე წლით ადრეა შეთანხმებული. მას მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებში უწევს გამოსვლა მსოფლიოში ცნობილ საოპერო ვარსკვლავებთან ერთად. ქართველი სოპრანო ყოველთვის სიამოვნებით ჩამოდის საქართველოში, როგორც კი ამის შანსი მიეცემა, თუმცა სამწუხაროდ, ამას ხშირად ვერ ახერხებს. ამჟამად ქართველი ლამაზმანი „ტრავიატას“ პრემიერისთვის ემზადება, რომელიც 13 სექტემბერს ახალ საოპერო სეზონს გახსნის.

# მაია დარსმელიძე ქართველ სელებრითებს მიმართავს

**ეკა ირემაშვილი**

მომღერალი მაია დარსმელიძე ქართველ სელებრითებს მიმართავს და მათ ყინულიანი წყლის გადასხმასთან ერთად ქველმოქმედებისკენაც მოუწოდებს:

„ძვირფასო ქართველო სელებრითებო, ძალიან კარგია, რომ ბაძავთ ცივილიზებული ქვეყნის სთარებს, მაგრამ ბოლომდე გარკვეულიყავით ამ „სახალისო ფლეშმობის“ შინაარსში და ისე გექნათ ეს ყოველივე. ეს არ არის მხოლოდ „სიცხეში გამაგრილებელ/გასართობი“ აქცია, ეს მეტად საინტერესო და სერიოზული საქველმოქმედო შინაარსის აქციაა. დაავადება, რომლის გამოც ეს გამოწვევები გამოიგონეს, ტვინის ნერვულ და ზურგის ტვინის უჯრედებს აზიანებს, რაც საბოლოოდ პარალიზებით და გარდაცვალებით სრულდება. ამ დაავადების დასამარცხებელი ფონდის გამოწვევაში მონაწილეები თავზე წყალს ისხამენ, შემდეგ მინიმუმ 10 დოლარს სწირავენ ფონდს და ასახელებენ შემდეგ სამ ადამიანს, ანუ, ეს გაყინული წყლის გადასხმა ნიშნავს, რომ ადამიანი ჩაერთო ამ საქველმოქმედო კამპანიაში და ამ დაავადებასთან ბრძოლის ფონდში რიცხავს თანხას. მაგარი იქნებოდა აქაც რომ ჰქონოდა მსგავსი დატვირთვა. რომ ჩაგვერიცხა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდში, ან რომელიმე სხვა მსგავს ფონდში. უამრავი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში და ასეთი სახალისო მეთოდით ბევრი ადამიანის ჩართვაა შესაძლებელი. მენტალურ ამბავშიც პატარა „რევოლუცია“ მოხდებოდა, ასეთი სახალისო აქციით ადამიანები მიეჩვეოდნენ ქველმოქმედებას. ამით მინდა გითხრათ, თუ რამის „გადმოღება“ მოგვწონს და გვიხარია, ბოლომდე გადავიღოთ, ამ აქციაში კი გასართობ ნაწილს ყველაზე უმნიშვნელო დატვირთვა აქვს. პ.ს. საბედნიეროდ, აღმოვაჩინე, რომ ამ აქციის ქართული ანალოგი არსებობს და, ძვირფასო სელებრითებო, თუ გაგრილებასთან ერთად სიკეთის კეთებაც გინდათ, კიდევ ერთხელ გაგრილდით და გადაისხით წყალი... ოღონდ აზრიანად!“

ყინულიანი წყლის გადასხმის აქციაში არაერთი ცნობილი ქართველი ჩაერთო. მომღერლები, კალათბურთელები, მსახიობები, საოპერო მომღერლები, რეჟისორები და პოლიტიკოსები იღებენ გამოწვევას და ყინულიან წყალს ისხამენ. ერთვებიან თუ არა ისინი ქველმოქმედებაში და რიცხავენ თუ არა თანხას დაავადებული ადამიანების გადასარჩენად, ეს ყველასთვის უცნობია.

## იუმორი

უბნის რწმუნებული რუს მოხუცს ეუბნება:

– შეეშვი არყის გამოხდას!

– ვხდიდი, ვხდი და მომავალშიც გამოვხდი, – უპასუხა მოხუცმა.

– მაშინ, იცოდე, დაგიჭერ!

– ჩემი შვილი გამოხდის.

– მასაც დავიჭერთ!

– მაშინ ჩემი შვილიშვილი გამოხდის.

– შვილიშვილსაც დავიჭერთ!

– იმ დროისთვის მე უკვე ციხიდან გამოვალ!

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, გუშინ გაზეთში განცხადება გავუშვი, რომ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე 12 საათზე სულელების შეკრება გაიმართება.

– ჰა-ჰა-ჰა! ალბათ, არავინ მოვიდა?!

– პირიქით, მთელი მოედანი გაივსო!

– რას ამბობ?!

– ყველა იმის სანახავად მოვიდა, თუ ვინ მოვიდოდა!

●●●

დილით საუზმობის დროს ცოლი ქმარს ეუბნება:

– დარწმუნებული ვარ, რომ არ გახსოვს, დღეს რა დღეა?

– სისულელეა, შესანიშნავად მახსოვს, დღეს რა დღეა, – უპასუხა ქმარმა და სამსახურში წავიდა.

10:30 საათზე კარზე ზარის ხმა გაისმა. როდესაც ქალმა კარი გააღო, კარის ზღურბლთან წითელი ვარდების დიდი თაიგული დახვდა. 13:00 საათზე ისევ ზარის ხმა გაისმა. ამჯერად ქალს კარის ზღურბლთან მისი საყვარელი ბელგიური შოკოლადების ყუთი დახვდა. მესამედ ზარმა 15:00 საათზე დარეკა, ამჯერად ქალმა ძვირფასი კაბა მიიღო. საღამოს სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ეუბნება:

– ოჰ, ძვირფასო! ჯერ ყვავილები, შემდეგ შოკოლადები, შემდეგ კაბა! ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი პოლიციის დღე იყო!

●●●

კახელები საფრანგეთში სასტუმროში დაბინავდნენ. დილით სასტუმროს რესტორანში ჩასულებს ოფიციანტმა ყველას ჭიქით რძე და ფუნთუშები მიართვა. მიხომ ფუნთუშა აიღო და რძიან ჭიქაში ჩაუშვა.

– რასა შვრები, ჯო, ესა ევროპაა, – შენიშვნა მისცა შაქრომ.

– რა იყო, ჯო, რა, უკან ვერ ჩავასხამ? – უპასუხა მიხომ და რძეში ჩამბალ ფუნთუშას ხელი მოუჭირა.

●●●

მოსწავლეები კლასში საკონტროლო დავალებას ასრულებენ. მასწავლებელი ყურადღებით ადევნებს მოსწავლეებს თვალს, რომ „შპარგალკით“ არავინ ისარგებლოს და დროდადრო, ვისაც შენიშნავს, კლასიდან აგდებს. კლასში სკოლის დირექტორმა შეიხედა და მასწავლებელს ეუბნება:

– რა, საკონტროლოს ვწერთ?

– დიახ, – პასუხობს მასწავლებელი.

– ალბათ, ბევრია გადაწერის მოყვარული!

– მოყვარულები გარეთ არიან, კლასში მხოლოდ პროფესიონალები დარჩნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჯოსვოხდი ↓



**შვეულად:** 1. ღუდის ღვთაებად მიჩნეული მითოლოგიური ფლანდრიელი მეფე; 2. მარმარილოს საბადო კახეთში; 3. ფრანგი კომედიოგრაფი „სეველიელი დალაქის“, „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი; 4. სამეჯლისო ცეკვა; 5. ძველად კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ წინასწარ დანიშნული; 6. მიქელანჯელოს ქანდაკება; 7. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 9. რძეში მოზელილი კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური; 13. ფრანგული კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 17. ღვინის შესანახი პატარა ქვევრი; 18. მდინარე ციმბირში.

**თარაზულად:** 1. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 3. სპორტული იარაღი აკრობატული ხტომებისთვის; 8. პოპულარული ქართული სიმღერა; 10. ჰოლივუდში მოღვაწე ჩეხური წარმოშობის კინორეჟისორი; 11. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 12. ფეხბურთის ბრაზილიელი გულშემატკივარი; 14. შავი და თეთრი შრეების მქონე მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 15. ნახევარკუნძული ევროპაში; 16. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიური ოსტატი; 19. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 20. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## ასტროპროგნოზი 12 სექტემბრისთვის

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრი იღბლიანი აღმოჩნდება. **ჯარო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ბყუკები** — ეს დღე საკუთარი თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ქირჩხიბი** — საღამო მშვენიერი იქნება, გელით სიურპრიზი. **ლომი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, უფროსობას თვალში მოხვდებით. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — არ აყვეთ პროვოკაციას, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თევზები** — არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ.

**გისუსვებთ ბედნიერ დღეს!**